ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ვალერი გელოვანი

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდეციები და ევროკავშირთან ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სრული პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი თეიმურაზ შენგელია

თბილისი 2019

აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, მათ შორის აღნიშვნის ღირსია, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო: საგადასახადო ტვირთის შემცირება, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება, ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, კორუფციასთან ბრძოლა და სხვა.

გასული 15 წლის მანძილზე, საქართველომ 673_მდე რეფორმა განახორციელა, აქედან ყველაზე დიდი წილი ბიზნესის მხარდაჭერაზე (120) და გადასახადების სექტორზე(108) მოდის.

ამ და სხვა რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ასევე გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, რომელიც ამ ქვეყნების მიერ ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასებას გულისხმობს. ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. მიუხედავად ასეთი განვითარების დინამიკისა საქართველოში დღესაც მრავალი გამოწვევაა ამ მიმართულებით.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კვლევების გაერთიანებულ ანალიზს, რომელიც ასახავს საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს პრობლემებსა და გამოწვევებს მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით. აღნიშნული პუბლიკაცია ასევე

მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილებასა და საქართველოში განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებს.

Abstract

The trends of development of small and medium business in Georgia and the main directions of integration with the EU

Valeri Gelovani

In recent years, significant reforms have been implemented in Georgia, including economic reforms, the main purpose of which was reduce tax cargo, liberalize economy, improve public services, create a favorable environment for doing business, fight corruption, ect.

Over the last 15 years, Georgia has implemented a reform of up to 673, with the largest share of business support (120) and taxes (108).

As a result of these and other reforms, Georgia has reached high levels of economic growth. Direct foreign investments in the country also increased. Georgia's economic polici has been positively assessed by various rating agencies and international financial institutions.

In 2016, the Organization for Economic Co-operation and Development (OECD) published the index of Small and Medium Entrepreneneurship Policy Index of the Eastern Partnership, which implies the implementation of the European Small Business Act. According the index, Georgia is the best in the region in terms of improving the institutional and operational environment of SMEs by 2016.

During the last few years, special progress has been made for business infrastructure, acces to financing, abolishing technical barriers to trade and institutionalization of small and medium enterprises. Despite this there many such challenges in Georgia.

The present publication is a variety of studies The unified analysis reflects in Georgia Business environment problems and challenges for small and medium businessesIn terms of This publication also includes small and medium businesses International experience in support and in Georgia Implemented programs and projects.

შინაარსი

შესავალი----------6

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი კაცობრიობის განვითარებაში---------- 8

1.1 ბიზნესის არსი და მისი სახეები----------8

1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები---------- 10

თავი 2. ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური გარემო----------19

2.1 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ასოცირების ხელშეკრულება და მისი ზეგავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე--------19

2.2 მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების ეტაპები, ევროკავშირში და მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში----------29

თავი.3 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური პირობები და მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიკა----------50

3.1 მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების ეტაპები საქართველოში---50

3.2 მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემო----------60

3.3 . მცირე და საშუალო ბიზნეს განვითარების დინამიკა საქართველოში----------65

თავი 4 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია----------72

4.1 ინტერნაციონალიზაციის პროცესი და მისი თეორიული ანალიზი----------72

4.2 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგია
და შედეგები---------- 74
დასკვნა---------- 83
გამოყენებული ლიტერატურა----------85

შესავალი

თემის აქტუალობა: კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მატერიალური დოვლათის შექმნის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის საქმიანობა. სწორედ წარმოების პროცესის დახმარებით იქმნებოდა სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ნივთები. ადამიანის პირველი საქმიანობის ნიმუშები მცირე ბიზნესთან არის დაკავშირებული. ადამიანი, ძველი რომიდან მოყოლებული, დღემდე აქტიურად მიმართავს მცირე მეწარმეობას. მიუხედავათ, დროის და ეპოქის ცვლილებისა მცირე და საშუალო ბიზნესს, აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი დღევანდელი განვითარებული ქვეყნების ქვაკუთხედს წარმოადგენენ.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპით მიმდინარეობს, რადგან ასეთი ქვეყნების მთავრობები, მართველები აცნობიერებენ მათ მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკურ კეთლდღეობაში. თითქმის ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს მთავარ ეკონომიკურ დეტერმინატებში მნიშვნელოვანი წვლილი მცირე და საშუალო ბიზნესს უკავია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მასში შემავალი ქვეყნებისათვის ახალი ეტაპი დაიწყო ყველანაირ ასპექტში. ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყანისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საქართველომ დღევანდელ დღემდე განვითარების ძალზედ რთული გზა განვლო, განსაკუთრებით მძიმე გამოდგა უახლესი 30 წელიწადი, ფაქტობრივად სახელმწიფოს ყველა სტრუქტურა მოშლილი გახლდათ და ქვეყანაში სრული ქაოსი იყო. ამ მდგომარეების დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, სხვა ყველაფერთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებამ. დღეს-დღეობითაც ქვეყანაში დასაქმების, მშპს და სხვადასხვა ეკონომიკური კეთლდღეობის ინდიკატორებში, დიდი წილი მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, კიდევ უფრო დაიხვეწა კანონები და გატარდა რეფორმები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ამიტომაც დღეს ისე როგორც არასდროს მცირე და საშუალო

ბიზნესის განვითარების ტენდეციები და ევროკავშირთან ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები, აქტიური დაკვირვების საგანია.

კვლევის მიზანი და ამოცანა. ნაშრომის ძირითადი მიზანია შეფასებული იქნეს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის არსებითი გარემო, რამდენად წარმატებული იყო ქვეყანაში ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკა უახლესი 20 წლის მანძილზე და რა პრობლემების წინაშე ვდგავართ დღეს. ნაშრომში გაანალიზირებული და გამოვლენილი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი გამოსწორების გზები, ასევე გამოკვლეული იქნება ევროკავშირთან ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები.

დასახული მიზნის რეალიზაციისთვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა :

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ისტორიის განხილვა, მისი არსის გაანალიზება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის თვისებებისა და თავისებურებების გამოვლენა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სახემწიფო მხარდაჭერის თანამედროვე სისტემების გამოკვლევა ევროკავშირში;
- საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების იტორიის განხილვა, უახლოეს წარსულში არსებული პრობლემების გაანალიზება;
- საქართველოში დღევანდელი მდგომარეობის გამოკვლევა და ანალიზი მცირე ბიზნესის კუთხით. მის მიმართ გატარებული პოლიტიკის შეფასება, მათი შედეგების განხილვა და არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზების მოძიება;
- ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართლებები;

კვლევის საგანი და ობიექტი: ნაშრომის კვლევის საგანია მცირე და საშუალო ბიზნესის, მიმართ შიდა და გარე ბაზრებზე წარმოქმნილი ბარიერები და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება, ევროკავშირთან ინტეგრაციის ფონზე.

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი კაცობრიობის განვითარებაში

1.1 ბიზნესის არსი და მისი სახეები

სიტყვა „ბიზნესის“ განმარტების შინაარსი მსგავსია მეწარმეობის განმარტებისა. ბიზნესი ეს არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის გაწევით ხორციელდება მთავარი მიზნის მო მოგების მისაღებად. ყოველგვარ საქმიანობას არ მოიცავს ბიზნესი, მაგალითად: ნებისმიერი მუშაობა არის საქმიანობა, მაგრამ მუშაობა თავისთავად, ეკონომიკური პროდუქტის შექმნა, ჯერ კიდევ არ არის ბიზნესი. საქმიანობა წარმოადგენს ბიზნესს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიზანია, შემოსავლის მიღება. წარმოება გადადის ბიზნეს საქმიანობაში როდესაც იგი არამხოლოდ ქმნის პროდუქტს, არამედ შედის მომხმარებელთან ურთიერთობაში მოგების მიღების მიზნით. [1]

ბიზნესი სხვადასხვა სფეროში განსხვავებულია ფორმის, ოპერაციათა შინაარსისა და მათი განხორციელების მიხედვით. ერთ შემთხვევაში, შეიძლება ბიზნესმენი თვითონ აწარმოებდეს საქონელსა და მომსახურებას, მხოლოდ წარმოების ფაქტორების შეძენის საფუძველზე, მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება ახორციელებდეს შესყიდვა გაყიდვას, კერძოდ, იძენდეს საქონელს მზა სახით და ყიდდეს მომხმარებელზე და ბოლოს, მესამე შემთხვევა, როდესაც ბიზნესმენი არც აწარმოებს საქონელს და არც ვაჭრობს საქონლით, არამედ აკავშირებს ერთმანეთთან მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, გამყიდველებსა და მყიდველებს.[2] ბიზნესის სახეები განსხვავდებიან გამოსაყენებელ ფაქტორებზე საკუთრების ფორმებით. ბიზნესის უმარტივესი სახეა ინდივიდუალური საქმიანობა საწარმოს სტატუსის გაფორმების გარეშე, მაგრამ სისტემატური საქმიანობის სახელმწიფო რეგისტრაციის პირობებში. ბიზნესმენი მოქმედებს ამასთანავე როგორც ფიზიკური პირი. ერთპიროვნულ მესაკუთრეს, ბიზნესმენს უფლება აქვს გამოიყენოს

[1] ო.გოგიაშვილი. ‘’მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში’’ გვ.11 2013.
[2] გ.შუბლაძე, მ.ნანიტაშვილი. ‘’ბიზნესის საფუძვლები’’ გვ.13 2011.

მისი კუთვნილი ქონება საკუთარი სურვილისამებრ. ერთპიროვნული ბიზნესმენი მთლიანად კისრულობს ხარჯებს და აგებს პასუხს თავისი საქმიანობის შედეგებისათვის. მას შეუძლია დაიწყოს და შეწყვიტოს იგი ნებისმიერ დროს საკუთარი სურვილის შესაბამისად.

დღესდღეობით ბიზნესი მიჩნეულია ისეთ მოვლენად, რომელიც მკვეთრად არის დამახასიათებელი მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის. დღეს-დღეობით ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება ბიზნესის ძირითადი ზომები: მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი და გლობალური.

ბიზნესს მცირე მასშტაბებით უწოდებენ მცირე ბიზნესს. მეწარმეობა არის მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ.[3] მეწარმეობა არის მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ. [28. გვ80]

მცირე და საშუალო ზომის ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. იმ მომენტიდან, როდესაც მცირე ბიზნესი იქმნება, იგი ხდება მთავარი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ბაზარზე ცდიან თავიანთ ბიზნეს იდეებს. ასეთი მცირე და საშალო ბიზნესები, რომლებთაც აქვთ ძალა გარკვეული დროის განმავლობაში მიაღწიონ წარმატებას, გაუმკლავდნენ ბაზრის კონკურენციას, აღწევენ წარმატებას და უქმნიან ეკონომიკურ კეთილდღეობას საკუთარ მფლობელებს. აგრეთვე, ის მცირე კომპანიები რომლებიც, ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და აფართოებენ ბიზნეს, ტრანსფორმირდებიან ხოლმე საშუალო ზომის ბიზნესად და კიდევ უფრო დადებითათ მოქმედებენ ოჯახის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. აღსანიშნავია რომ, მხოლოდ სტაბილური შემოსავალი არ არის მცირე და საშუალო ბიზნესის დადებითი მხარე. პირველ რიგში მომხმარებელს, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უფრო მეტ განსხვავებულ ასორტიმენტთან , მომწოდებელთან აქვს წვდომა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ეს

[3] მეწარმის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგ. ს. მ. სინელნიკოვი
და სხვ. მოსკოვი, 1992. გვ. 137 (რუსულ ენაზე)

ფაქტი არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან სწორედ ასეთი ზომის ბიზნესებში ხდება ყველა იმ მთავარი რესურსის გენერირება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომაც, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს თანამედროვე ძრავებს საწვავით. დღეს მსოფლიოს უდიდესი კორპორაციების ნაწილმა, საკუთარი ბიზნესი მცირე ბიზნესით დაიწყეს. მაგალითად: მაკდონალდსი, კალიფორნიაში პატარა ჯიხურში ჰამბურგერს ყიდდა, ხოლო ვოლმარტი, თავდაპირველად პატარა მაღაზია იყო არკანსის შტატში, ქალაქ ბენტონვილში რომლის მოსახლეობა იმ დროს 2 900 ადამიანს შეადგენდა. დღეს-დღეობით აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 50% წარმოებულია მცირე და საშუალო ბიზნესში.

1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები

ბიზნესის, როგორც ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ისტორიულ ჭრილში, უნდა განვიხილოთ, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები წარმოიშვა და განვითარდა კაცობრიობის განვითარების და ჩამოყალიბების სხვადასხვა ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებში, მათი რევოლუციური და ევოლუციური გარდაქმნის, სამეწარმეო ბაზის ფორმირების პროცესში.[4] უფრო თვალსაჩინოდ გადმოცემისათვის საჭიროა გამოვყოთ რამოდენიმე ეტაპი, კაცობრიობის ცხოვრებიდან და განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმები ამ პერიოდებისათვის.

ჩვენ თუ გადავხედავთ ძველი რომისა[5] და იმ დროინდელი ცივილიზაციის ცხოვრების ისტორიას, მაშინ შევამჩნევთ, რომ პრაქტიკულად ყველა მცირე ბიზნესით იყო დაკავებული. მაგალითად: ფერმერები აწარმოებდნენ მცირე ბიზნეს მარცვლეულის ან ხორცის გაყიდვით, ხოლო უძრავი კაპიტალის მქონე პირები აქირავებდნენ ამ

[4] თ.შენგელია. ''ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები'' გვ.6 2008.
[5] მონარქიული სახელმწიფო რომში ძვ. წ. 753-ძვ. წ.510, ქალაქის დაარსებიდან რესპუბლიკად გამოცხადებამდე

ყველაფერს. ფაქტობრივად იმ დროისათვის მცირე ბიზნესი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. მცირე ბიზნესის ძირითადი სახეები შუა საუკუნეებში:

<u>მეაბჯრე</u> - ამ პერიოდში აბჯარი, ჯავშანი ერთ ერთი მთავარი მოთხოვნადი პროდუქტი იყო, ხოლო ის ადამინები, რომლებიც ამ ყველაფერს ქმნიდნენ, თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ წარმატებულ მცირე ბიზნესის მეპატრონეებად.

<u>აფთიაქარი</u> - აფთიაქარი ყიდდა წამლებს, რომლებსაც ძირითადად ამზადებდა მცენარეებიდან რომელსაც იმ მიდამოებში კრეფდა. იმ დროისათვის ესეთი ობიექტი ავადმყოფი ადამიანების ერთ-ერთი მთავარი სამკურნალო ადგილი გახლდათ;

<u>მეპურე</u> - პური იყო შუა საუკუნეების მთავარი ყოველდღიური საკვები;

<u>მჭედელი</u> - შუა საუკუნეებში თითქმის ყოველი სამუშაო თუ საბრძოლო იარაღი მჭედელთან მზადდებოდა, ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამსახურად ითვლებოდა იმ დროისათვის;

<u>მესანთლე</u> - მესანთლეები ქმნიდნენ სანთელს, მათი მომხმარებელი ძალზედ ბევრი იყო რადგან მაშინ არ არსებობდა სანთლის გარდა სხვა ალტერნატიული საშუალება ოთახის განათებისათვის.;

<u>მევახშე</u> - მევახშეობა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა, ის ადამიანები, რომლებსაც გააჩნდათ ჭარბი ფულადი რესურს, ახდენდნენ ამ თანხის გასესხებას და იღებდნენ არც თუ ისე დაბალ ფულად პროცენტს;

<u>მსახიობები და მხატვრები</u> - ხელოვნების ეს ორი დარგი განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა იმ დროისათვის, მსახიობები დგამდნენ სხვადასხვა წარმოდგენებს რა თქმა უნდა გასამრჯელოს სანაცვლოდ, ხოლო მხატვრები ხატავდნენ მომხმარებლის სურვილისამებრ და იღებდნენ სანაცვლოდ თანხას;

რათქმაუნდა, ასევე არსებობდა მცირე ბიზნესის სხვადასხვა წარმატებული სახეები. უნდა აღინიშნოს რომ ასეთ მცირე ბიზნესებს ძირითადად წარმათავდა ერთი ადამიანი, რომელიც შიგადაშიგ იხმარდა ოჯახის სხვა წევრებს. ის ადამიანები რომელიც არ იყვნენ თვით დასაქმებულები ძირითადად ორ ჯგუფად შეგვიძლიათ დავყოთ, პირველი ჯარისკაცები და ის ადამიანები რომელიც მთავრობაზე მუშაობდა და მეორე, მონები რომლებიც , მონათმლობელების სურვილისამებრ მუშაობნდნენ მცირე გსამრჯელოზე, რაც უმეტესად საცხოვრებლით და საკვებით გამოიხატებოდა.(თ.შენგელია 2008)

ისევე როგორც, კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე, იმ დროისთვისაც მატერიალური რესურსის, კაპიტალის დაგროვება ხდებოდა არალეგალური გზებითაც კერძოდ:

- კორუფცია, მექრთამეობა, გამომძალველობა;
- მოსახლეობის ძარცვა, განსაკუთრებით კოლონიებში;
- სახელმწიფო მოხელეების მიერ კანონის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა სამეწარმეო მაქინაციების წარმოება;
- სახელმწიფო მოიხელეების აქციონერების ფორმით, ახალი კომპანიების შექმნაში მონაწილეობა;

შუა საუკუნეებში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი გარდამტეხი ეტაპი იყო ამქართა[6], ვაჭართა გაერთიანებების შექმნა. პირველი გილდიების ნიშნები ჯერ კიდევ ძველ რომში გვხვდება. მათი სახელი ცნობილი იყო, როგორც "კოლეგია", ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც სპეციზილებური იყო სხვადასხვა ხელსაქმეზე, ისინი საკმაოდ წარმატებით, ფუნქციონირებდნენ მაგრამ, რომის იმპერიის დაშლასთან ერთად, ეს გაერთიანებებიც, გაქრნენ.

შუა საუკუნეებში ხელოსნები ქმნიდნენ ასოციაციებს, რომლებშიც შედიოდნენ ერთი პროფესიის ადამიენები, ამქარს გააჩნდა საკუთარი ინდივიდუალური, საქმის კეთების ტექნოლოგია, რომელიც ტრადიციათ გადაეცემოდათ მათ წევრებს. ეს იყო ასეთი ვაჭართა გაერთიანებების საფირმო ნიშა. მათი გაერთიანება გამოიწვია სხვადასხვა გარემო პირობებმა, დროთა განმავლობაში ისინი მიხვდნენ რომ ერთად უფრო კარგად წარმათავდნენ თავიანთ საქმიანობას.

ასეთ სავაჭრო გაერთიანებებში მოსახვედრად ადამიანს გარკვეული სტანდარტები მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა, ასევე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მათ შორის მოხვედრა დიდ პატივს უკავშირდებოდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა რომ აქ მოხვედრით შენ კვალიფიციური მომუშავე ხარ.

გილდიები[7] ევროპის ქვეყნებში და შუა საუკუნეებიდან ყალიბდება. როგორც აღვნიშნეთ, მათი არსებობა ქალაქურ ყოფას უკავშირდება. ცნობილია, რომ უკვე მე-15

---

[6] ამქარი (სპარს. كار هم ჰამქარ — თანამოსაქმე) — ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება შუასაუკუნის ქალაქებში.

[7] გილდია(კორპორაცია,გაერთიანება)-ფართო გაგებით სხვადასხვაგვარი გაერთიანება.

საუკუნეში ქალაქ ჰამბურგს 100, ხოლო კიოლნს 80 გილდია ჰყავდა. არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა გილდიები, რომლებიც განსაზღვრულ ქალაქებში წარმოებისა და ვაჭრობის სფეროებს აკონტროლებდა.

გილდია იყო პროფესიული გაერთიანება, ეს იყო ადამიანების საძმო, რომლის პრაქტიკაში თავს იყრიდა როგორც პროფესიული, ისე – სავაჭრო ინტერესები და შესაბამისი ღირებულებები.[8]

თანამედროვე პალატამ გილდიის მრავალი ელემენტი შეინარჩუნა. პირველ რიგში, შეგირდობის ინსტიტუტი, [9]რომლის საყრდენი ღერძი ყველა დროში ოსტატი იყო. შეგირდები 10-15 წლის ასაკიდან მიიღებოდნენ. წლების მანძილზე შეგირდები ოსტატის საწარმოს მნიშვნელოვან სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ, რაც მოიაზრებოდა და დღესაც მოიაზრება შეგირდობის ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ ბენეფიტად კერძო სექტორისთვის.

ამქრები იქმნებოდა სხვდასხვა რელიგიურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოტივებზე, შუა საუკუნეებში. ამქართა ასეთმა გაერთანებებმა, იმ ეპოქაში ეკონომიკის განვითარებაში და წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. [22, გვ1] მათი მეშვეობით ხდებოდა მუშა ხელის გადამზადება, მათ მარკეტინგული უნარების განვითარება, ამ დროისათვის დაიხვეწა მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობის ფორმები. ასევე ისინი ცდილობდნენ გაეზარდათ მოგება სტანდარტების გაუმჯობესების და პროდუქტის დახვეწის გზით. ასევე მათ ინტერესებში შედიოდა პროდუქტის ხარისხის კონტროლიც. ამ დროისათვის შემცირდა მთავრობის მონოპოლიური ზეგავლენა, შედეგად კი იმ ქალაქებში სადაც ასეთი ამქრები იყო შექმნილი მოსახლეობის კეთლდღეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დადებითად მოქმედებდა.

საქართველოში ხელოსანთა გაერთიანებები დასტურდება VI ს. ისეთი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის მიხედვით როგორიცაა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, უცხოური ასნაფის დამკვიდრებამდე, ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელად საქართველოში იხმარებოდა „ოფიკალი“, ხოლო მასზე ადრე „მუშათუხუცესი“, „ხელოსანთა მომგე“ და „ზედამდგომელი“, რომლებთაც

[8] The Mediaval Cookbook Author Meggie Black 1992

[9] ქ. ნინიძე. სტატია: ''დუალური განათლების ისტორიული წინაპირობები ნაწილი პირველი''. 2017.

სხვადასხვა სახის მოქმედება ევალებოდათ „საქმის მოქმედთა“, ანუ „მუშაკთა“ მიმართ. საკუთარი ამქრული გაერთიანებანი ჰქონდათ: კალატოზებს, დერციკებს, ჭონებს, ხარაზებს, მეთულუხჩეებს, ბაზაზებს, მეუნაგრეებს, მეთუნუქეებს, მეპურეებს, ხუროებს, დურგლებს, მეთუნეებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, მეაგურეებს, თერძებს, მესპილენძეებს და სხვათა. [10]

ამქრის სრულუფლებიანი წევრი იყო მხოლოდ ოსტატი, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელოსნო იარაღები და ნედლეული. იგი იყო მწარმოებელი და ვაჭარ-გამყიდველიც. ამქრის არაწევრს ეკრძალებოდა ქალაქის ფარგლებში მუშაობა. ამქარს სათავეში ედგა უსტაბაში, ხოლო მისი მოადგილე იყო აღსაჰყალი. ამქრის უსტაბაშს ირჩევდა და წესდებას ამტკიცებდა ამქრის საერთო კრება.

ამქრის წოდებრივი ორგანიზაცია სამსაფეხურიანი იყო: ოსტატი, ქარგალი, შეგირდი. ოსტატი როგორც მუშა და მასწავლებელი თავის ხელოსნურ გამოცდილებას შეასწავლიდა შეგირდს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იწყებდა ქარგლობას ანუ ნაწილობრივ დამოუკიდებელ მუშაობას, ხელობის სრული დაუფლების შემდეგ იგი ოსტატისაგან დამტკიცდებოდა. თავისი მასწავლებლისაგან მიიღებდა ერთ ხელ სახელოსნო იარაღებს და ამის შემდეგ სრულუფლებიან ოსტატად ითვლებოდა. [24.გვ12]

თითოეულ ამქრულ ორგანიზაციას გააჩნდა თავისი ფირი და დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ამ ხელობათა მფარველი ღვთაებანი. ამქარს ჰქონდა საკუთარი საერთო ხაზინა, საიდანაც ფული გაიცემოდა ამქრის თითოეული ხელმოკლე და გაჭირვებაში ჩავარდნილი წევრის სასარგებლოდ. [11]

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში 76 ამქარი ფუნქციონირებდა, რომელთაგან ზოგი ხელოსნობის ცალკეული დარგების მიხედვით იყო დაჯგუფებული, ზოგი კი – საერთო სახელოსნო ორგანიზაციების სახით. ამქარი, ისევე, როგორც ევროპული გილდია, ეკონომიკური და რელიგიური ხასიათის სამოქალაქო ორგანიზაცია იყო, სადაც მხოლოდ ვაჭრები და ხელოსნები, იშვიათად კი წარჩინებული მოქალაქეებიც შედიოდნენ.[12]

---

[10] შ. მესხია ''საისტორიო ძიებანი'', ტ. II, 1983. ე. ნ.

[11] პ. გუგუშვილი, ''ამქრული ორგანიზაციები'', ქსე ტ.1. 1975.

[12] ქ.ნინიძე .''დუალური განათლების ისტორიული წინაპირობები ნაწილი პირველი“ სტატია. 2017

ამქრის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენდა წარმოება, ხოლო მისი ფუნქცია იყო, აგრეთვე განათლება, როგორც წარმოების განვითარების ინსტრუმენტი. ოსტატი შეგირდების გარეშე არც აქ არსებობდა. შეგირდი შეიძლება ყოფილიყო 9-დან 17 წლამდე ყმაწვილი, რომელიც ოსტატს ამ სტატუსით მიებარებოდა 3-დან 10 წლამდე. ამქრის მიერ შეგირდის მიღების ცერემონიას რიტუალური ფორმა ჰქონდა და მასში მაძიებელთან, მის მშობელთან და ოსტატთან ერთად მონაწილეობდნენ ამქრის უსტაბაში, უხუცესები და მღვდელი.[პ.გუგუშვილი 1975]

აღსანიშნავია რომ, ამქარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქველმოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გაჭირვებული ხელოსნების მატერიალურ დახმარებას; ობოლი შეგირდები, ოჯახის რჩენის ვალდებულებით, აქ დიდი უპირატესობებით სარგებლობდნენ. ოსტატებსაც, ფინანსური პრობლემების შემთხვევაში, ამქარი ხშირად უმართავდა ხელს.

გერმანიის გამოცდილებისგან განსხვავებით, სადაც გილდია არამხოლოდ ფეოდალურ მოვლენად დარჩა, არამედ კაპიტალიზმის გამოწვევებსაც მოერგო, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების პირობებში ვერ შეიქმნა ამქრის გადარჩენისთვის ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემო. სამწუხაროდ, სამოცდაათწლიანმა საბჭოთა რეჟიმმა, რომელმაც პროფესიული განათლება სრულად ცენტრალიზებული გახადა, თვითმმართველ ორგანიზაციებსა და სოციალური პარტნიორობის პლატფორმებს განვითარების ყველა არხი მოუსპო.[13]

მცირე ბიზნესის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ინდუსტრიულმა რევოლუციამ იგი 1750 წელს დაიწყო და 1850 წლამდე გაგრძელდა. ინდუსტრიულ რევოლოცუამდე მსოფლიოს ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა მცირე ბიზნესი. დღეს-დღეობით მსოფლიომ სამი ინდუსტრიული რევოლუცია გამოიარა და ამჟამად მეთხე ეტაპზე ვიმყოფებით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში I ინდუსტრიული რევოლუცია იწყება. იმ დროიდან დღემდე, კაცობრიობამ შექმნა ბევრად მეტი, ვიდრე იქამდე 10 000 წლის განმავლობაში. ზუსტად იმავე პერიოდს ემთხვევა მოსახელობის რაოდენობის გეომეტრიული პროგრესიით ზრდის დაწყება. 200 მილიონიდან მოსახლეობის 1 მილიარდამდე ზრდას

[13]შ. მესხია საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983. ე. ნ.

1800 წელი დასჭირდა. 1-დან 5 მილიარდამდე კი 180 წელი. იმავე პერიოდში რეკორდულად გაიზარდა ადამიანის შემოსავალი. უკიდურესი სიღარიბის პროცენტული მაჩვენებელი კი 4-ჯერ შემცირდა. ამ ყველაფრის მიზეზი სწორედ ინდუსტრიული რევოლუცია გახდა, რომელსაც წინ აღორძინების პერიოდი და განმანათლებლობა უძღოდა. ხელით შრომა მანქანამ ჩაანაცვლა, რამაც პროდუქციის წარმოების სიჩქარე გაზარდა და დანახარჯი შეამცირა. მას მოჰყვა მძიმე მრეწველობა, ორთქლისძრავიანი გემისა და ორთქმავლის გამოგონება. ინგლისი რევოლუციას ედგა სათავეში და მსოფლიო მასშტაბითაც უძლიერესი იმპერიის სტატუსით სარგებლობდა. ინგლისს ევროპის სხვა ქვეყნები და შეერთებული შტატები მიჰყვებოდნენ, რაც მათ მზარდ ეკონომიკას განაპირობებდა.[14]

XIX საუკუნის დამლევს და XX სუკუნის დამდგეს II ინდუსტრიული რევოლუცია იწყება, ელექტროონის განვითარებამ და კონვეიერულმა წარმოებამ პროცესები კიდევ უფრო დააჩქარა. შეერთებულმა შტატებმა ბრიტანეთს პირველობა ჩამოართვა. მოგვიანებით მსოფლიო ბატონობის პრეტენზია გერმანიასა და საბჭოთა კავშირსაც გაუჩნდათ. ერთია ამ 2 სახელმწიფოს მოქმედების მეთოდები და მათი მორალური მხარე და მეორეა ის, რომ ომში დამარცხებულმა და სამარცხვინო ზავ აკიდებულმა გერმანიამ ჰიპერინფლაციის შემდეგ უმოკლეს დროში მთელი ევროპის დაპყრობა მოახერხა ბრიტანეთის გამოკლებით. აგრარულმა ჩამორჩენილმა რუსეთის იმპერიამ კი ზესახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა.[3,გვ20]

70-იან წლებში კომპიუტერების წარმოებით III ინდუსტრიული რევოლუციაც იწყება. ამ დროისათვის პირველად ისტორიაში ეკონომიკურად ვითარდებიან ისეთი ჩამორჩენილი ქვეყნები რომლის არსებობაზეც მსოფლიოში ბევრმა არ იცოდა.

ინდუსტრიული რევოლუცია კაცობრიობისათვის ერთ-ერთი გარდამტეხი მთავარი მოვლენაა, ამ ეტაპის შემდეგ ადამიანების ცხოვრების დონე და მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება, იმ ბევრმა მიღწევამ რაც ამ ეპოქაში მოხდა კიდე უფრო გაზარდა ბიზნესის არეალი. მოიმატა გლობალური კომპანიების რიცხვმაც და დღეს დღეობით ნებისმიერ ქვეყანაში შევხვდებით გლობალურ კომპანეიებს. მცირე ბიზნესის

[14] გ.ელიზბარაშვილი 2018 წ ''ინდუსტრიული რევოლუცია-ისტორიული შინაარსი საქართველოსთვის'' სტატია.

განვითარების შემდეგ ახალ გამოწვევად შეგვიძლია ჩავთვალოთ დიდი საერთაშორისო კომპანიების რაოდენობის ზრდა მსოფლიოში.

მსოფლიოს და მცირე ბიზნესის ბედი რამოდენიმე ტექნოლოგიების გამოგონებამ შეცვალა, ამ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება, ფართო მაშტაბიანი ენერგეტიკული წარმოების საშუალებები როგორებიცაა: ორთქლის სიმძლავრე, ბენზინი და ელექტრომძრავები.

1850 და 1914 წლებში მცირე ზომის საწარმოების წილი თანდათან შემცირდა და იგი დიდმა ქარხნებმა ჩაანაცვლა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ევროპის ეკონომიკაში დომინირებდნენ დიდი ქარხნები. ამავე პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ბუმი იყო რაც დიდ კომპანიებისათვის იაფი სამუშაო მუშა ხელის წვდომის საშუალება იყო. ფაქტობრივად ამ პერიოდში დიდი კომპანიები მცირე ბიზნესის ხარჯზე ახწევდნენ წარმატებას. მცირე ბიზნესის განვითარების ისტორიაში ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო, რადგან პატარა საწარმოები ვერ უწევდნენ კონკურენციას დიდ ქარხნებს, ასევე სიმდიდრე მოსახლეობაში არათანაბრად იყო გადანაწილებული მდიდარი მრეწველები და კაპიტალისტები უფრო და უფრო მდიდრდებოდნენ. ახლა რომ დავფიქრდეთ ინდუსტრიულმა რევოლუციამ მცირე ბიზნესზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, ინდუსტრიულ რევოლუციამდე, მცირე ბიზნესი პრაქტიკულად ერთადერთი ტიპის ბიზნესი იყო, სადაც ძირითადად რამოდენიმე ადამიანი მუშაობდა და პატარა ქალაქებსა და სოფლებში ეფექტურად მუშაობდა. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოსახლეობის კოლოსარულ ზრდას შეუწყო ხელი, ახლა უკვე დიდ ქალაქებში მხოლოდ მცირე ბიზნესით დასაქმებული რამოდენიმე ადამიანი აღარ იყო საკმარისი, ამიტომაც საჭირო გახდა უფრო დიდ მასშტაბებზე გადასვლა, შესაბამისად უფრო ეფექტიანი გახდა, დიდი ქარხნების აშენება და დიდი სამუშაო ობიექტების შექმნა. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა, თუ როგორ გადაურჩა მცირე ბიზნესი ამ ეპოქას. მცირე ბიზნესმა მოახდინა ადაპტირება შეცვლილ ეკონომიკურ პირობებზე.

1980 – 1990- იან წლებში ეკონომიკა სულ უფრო გლობალიზებადი გახდა, მსოფლიო მოცვლა გლობალურმა კომპანიებმა. ვინაიდან და რადგანაც გლობალიზაციის

პირობებში ეკონომიკური პირობები სწრაფად იცვლება, ეკონომისტები მიხვდნენ რომ , დიდი კომპანიების ამ კონკიურენციაში გაიმარჯვებდა ის ვისაც შეეძლებოდა ამ ცვლაებად პირობებზე სწრაფად რეაგირება და ადაპტირება. ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც მცირე ბიზნესი დღესაც აქტუალურია, სწორედ ისაა რომ, მას სწრაფად ადაპტირება შეუძლია გარემო პირობებთან. [15]

ფაქტია, რომ დროთა განმავლობაში კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, როგორც ვხედავთ განვითარდა და დაიხვეწა ბიზნესის საქმიანობის არეალი და სფერო. დღეს დღეობით მრავალფეროვანია ბიზნესის კეთების შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ კრიმინალმაც ამ სფეროში ჰპოვა განვითარება და იგი დღესაც საფრთხეს წარმოადგენს ჯანსაღი ბიზნეს გარემოსათვის. დღეს-დღეობით შეცვლილია ბიზნესის კეთების ზომებიც, წარსულში თუ მისი არეალი იშვიათად სცდებოდა რეგიონს ან ქვეყანას დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და მეტიც, ასეთი ურთიერთობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნებისათვის.

დღეს დღეობით მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ შექმნა ბიზნესის სრულიად ახალი ფორმა, საერთაშორისო, ანუ გლობალური ბიზნესი. შედეგად, დღეს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბიზნესი ფუნქციონირებს მცირე, საშუალო, მსხვილი და გლობალური ბიზნესის ფორმით. ბიზნესის ამ ფორმებს შეესაბამება მცირე, საშუალო, მსხვილი, ბიზნესის მოცემულ ფორმათაგან, მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნეს სისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველი წყაროა. თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილება ხაზს უსვამს მცირე და საშუალო ბიზნესის დადებით ზეგავლენას ეკონომიკაზე.[9,გვ32]

[15] History of small busines-Jonson Hur2018

თავი 2. ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური გარემო

2.1 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ასოცირების ხელშეკრულება და მისი ზეგავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა, განისაზღვრებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა, ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, იგი 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, მანამ სანამ მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეებს ეკისრებოდათ ვალდებულება, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. შეთანხმება მოიცავდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესს.

შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან.[16] ამავე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური

[16] www.infocenter.gov.ge-საქართველოს და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი და სხვა. ამასთანავე, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.[17]

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეთანხმების შემდგომ საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.[18]

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები:

[17] http://infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/
[18] Eu-Georgia relations-factsheet author Eeas Press Team 2019

- თანამშრომლობის საბჭო წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და მის ფუნქცია პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წევრებისგან შედგებოდა. თანამშრომლობის საბჭოზე მხარეები განიხილავდნენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წამოჭრილ საკითხებს, აგრეთვე, ორმხრივი თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წამოჭრილ ნებისმიერ სხვა საკითხებს, რომლებიც საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნებს ემსახურებოდა.
- თანამშრომლობის კომიტეტი წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დონეზე. ის ამზადებდა თანამშრომლობის საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფდა, რომ შეხვედრებს შორის უწყვეტი პროცესი ყოფილიყო. თანამშრომლობის კომიტეტი შემდეგ ქვეკომიტეტებს მოიცავდა:
- ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის;
- დასაქმებისა და სოციალური საკითხების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრენიგის, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოების და აუდიოვიზუალური პოლიტიკისა და მეცნიერების და ტექნოლოგიების;
- ვაჭრობის, ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების;
- სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების.
- საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი შედგებოდა საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისგან. ეს იყო პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის ევროკავშირისა და საქართველოს პარლამენტარებს შორის.[19]

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც

[19] იხ.წყარო www.infocenter.gov.ge

ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა TAC[20]IS. იგი ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. 2007 წელს TACIS -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა TACIS -ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება. TACIS -ის დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების ნოუჰაუს და გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია (კონტრაქტორი) ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან (სამთავრობო ან არასამთავრობო) TACIS-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში TACIS-ის საქმიანობა ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაეძლიერებინა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ.

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად TACIS-მა წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ესენია: ახლად დანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების

[20] TACIS- ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის

დამკვიდრება კომერციულ ბანკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; TRACECA-ს ხიდის მშენებლობა; ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო ბორნის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა.შ. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო.[21]

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) იყო ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: თAჩIშ (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის). ამ თვალსაზრით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი უზრუნველყოფდა ამ პროგრამებში არსებული სტრატეგიული ხაზის გაგრძელებას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულებების გაზიარება, სტაბილურობისა და კეთილდღეობის არეალის შექმნა, ინტენსიური თანამშრომლობა და უფრო ღრმა ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრირება თანამშრომლობის სფეროების მთელი სპექტრის გათვალისწინებით. 2007-2013 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნისა და რუსეთისათვის 11 მილიარდი ევრო შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის დახმარება მისი სამეზობლოსათვის.

[21] EUROPEAN COMMISION THE TACIS PROGRAMME-Europa Eu

2007 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ ევრო შეადგინა. [38, გვ6]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატი, პირველად შვედეთმა და პოლონეთმა შეიმუშავეს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.[22]

ევროკომისიამ 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ კომუნიკაცია, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ასოცირების შესახებ შეთანხმებების გაფორმების გზით, უფრო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა

[22] იხ.წყარო-http://smr.gov.ge/Uploads/ 08955f78.pdf

სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად უწოდებენ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის.

მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში და დასრულდა 2013 წლის ივლისში. შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. მას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. ამ შეთანხმებამ ჩაანაცვლა1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, ასევე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს[23] და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

თანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, გარდაუვალს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.[24]

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს და-მოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და

[23] Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA
[24] EU-Georgia Association Agreement

საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება როგორც მხარეთა შორის, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა (ასოცირების შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად). შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:[25]

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ [26]აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;
- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღ მდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია;

[25] იხ.წყარო www.infocenter.gov.ge
[26] http://infocenter.gov.ge/euinfo-history/

საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა;

- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა: თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტი, რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტს ეხმარებიან სპეციალურად შექმნილი თემატური ქვეკომიტეტები. ქვეკომიტეტები იკრიბებიან საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავენ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე აზრთა გაცვლაგამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები შექმნიან საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება, ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

ხაზგასასმელია ის დადებითი ეფექტები რაც ევროკავშირთან ურთიერთობამ მოიტანა საქართველოსათვის. უპირველს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა ევროკავშირთან ურთიერთობის შედეგად და იგი აგრძელებს ამ ტენდეციას ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების პირდაპირ პროპორციულად, მაგ: 2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოსათვის ევროკავშირი ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო

პარტნიორი იყო 23,7%-იანი წილით ექსპორტში. ასევე ხაზგასასმელია ევროკავშირის დახმარება ქართული კომპანიებისადმი დაფინანსებით, ტრენინგით და ექსპერტული მხარდაჭერით ახალი ბიზნესის ასათვისებლად. 2009 წლიდან 2.1 მილიარდ ლარზე მეტი იყო გამოყოფილი ამ მიმართულებით, შედეგად განხორციელდა 63 000 საწარმოს მხარდაჭერა და ამის შედეგად საქართველოში 2 450 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ასევე ევროკავშირის მიერ სოფლის მხარდაჭერა ზრდის ქართველი ფერმერების შემოსავალს. მისი დახმარებით შეიქმნა 1500-ზე მეტი ფერმერული კოოპერატივი, შედეგად კი შემოსავლები 20%-ზე მეტით გაიზარდა.[27]

ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის წვლილი საქართველოს სამშვიდობო საქმიანობაში, 2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ჩარჩო-ხელშეკრულება საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებში და მას შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამდენიმე ოპერაციის ჩატარებაში. დღემდე საქართველოს მიერ ამ პროცესში შეტანილია უდიდესი წვლილი დაახლოებით 156 სამხედრო პირის მონაწილეობა ევროკავშირის ოპერაციაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ამჟამად საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის სამხედრო წვრთნების მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში მალიში.

ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში 1990-იან წლებში დაწყებული კონფლიქტების შედეგების დაძლევის მიმართულებით. ის ასევე ეხმარება საქართველოს, მიაღწიოს მეტ სტაბილურობას 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. სტაბილურად უცვლელია ევროკავშირის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პოლიტიკა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ევროკავშირის ჩართულობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების მხარდაჭერაში. 2003 წლის ივლისში ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის საკითხებში.

[27] სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ევროკავშირის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია 7000-ზე მეტი ევროპული სტანდარტის მისაღებად ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროებში.[28]

2.2 მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების ეტაპები, ევროკავშირში და მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში

საქართველო დღითიდღე უახლოვდება ევროკავშირს და დღეს ამ ევროპულ გაერთიანებაში გაწევრიანება ქვეყნის მთავარ მიზანს წარმოადგენს. დღეს დღეობით ევროკავშირში 28 ქვეყანა ერთიანდება. საინტერესოა იმის გაანალიზება თუ როგორ მიმდინარეობდა ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების ეტაპები. განვითარებული ქვეყნების მაგალითი ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან მათი გაანალიზებით ბევრ რამეს ვისწავლით.

პირველი განხილვას ესპანეთით ვიწყებ, რადგან ეკონომიკური პოტენციალით ესპანეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ევროგაერთიანებაში. ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებს შორის მომსახურების სფეროს წაყვანი ადგილი უკავია, თუმცა ასევე დიდია ტურიზმის, საბანკო-საფინანსო და სხვა დარგების როლიც. ესპანეთი ტურისტების რაოდენობის მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორისაა. საკმაოდ განვითარებულია ამ ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესი დიდი ხნის განმავლობაში მისაბაძი იყო მრავალი ქვეყანისათვის. ამის მთავარი მიზეზია ის რომ ესპანეთში ამ სახის ბიზნესისაგან მშპს - 72% ფორმირდება.[29]

ესპანეთში მცირე ბიზნესის განვითარება იწყება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. მცირე ბიზნესის განვითარების მაღალი დონე განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიკის მაღალ დონეს. მისი დახმარებით გადაწყდა უმუშევრობის პრობლემა და ამაღლდა ეკონომიკური კეთილდღეობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების წილი ზოგიერთ დარგში 80%-ს აღწევს. დანარჩენ დარგებში კი საშუალოდ 25-30%-ია. ესპანეთში მოქმედებს არაერთი პროგრამა, რომლებიც მიმართულია მეწარმეობის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. ქვეყნის მთავრობა დიდ ყურადღებას ამახვილებს მცირე ბიზნესის იმ სუბიექტებზე,

[28] ევროკავშირსა და საქართველოშ შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები.
[29] ხ.ჩიგოგიძე . ''ევროკავშირის 5 ქვეყანა, სადაც მცირე ბიზნესი სწრაფად ვითარდება''. 2018.

რომლებიც განაპირობებენ დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე რეგიონების განვითარებას და რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, როგორებიც არიან სტუდენტები, ქალები, იმიგრანტები და ა.შ(ხ.ჩიგოგიძე 2018)

ესპანეთში შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ბევრი პროგრამა. მათთვის, ვინც საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებს, შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე პროგრამები. მეწარმე პირველი ხუთი წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე შესაძლებლობა აქვს ბიზნესის გასაფართოებლად ისარგებლოს უვადო კრედიტით. ესპანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცირე საწარმოებს, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის: ქმნიან სამუშაო ადგილებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის ხელს უწყობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონების წინსვლას. ესპანეთში სახელმწიფო მრავალ ორგანიზაციასა და ფონდს ახალისებს მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად.

ესპანეთის ხელისუფლება ასევე დიდ ყურადღებას ამახვილებს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე და მეცნიერულ მიღწევებზე. მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამები ეყრდნობა ევროპულ პროგრამებს, რომლებიც გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში: გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა. სახელმწიფო მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის ქმნის დიდი რაოდენობის ფონდებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად, რომლებშიც შედიან ასევე ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ურთიერთგარანტიის საზოგადოებები, რომლებიც მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით თავიანთ ქონებას დებენ გარანტად გირაოს სახით ან კიდევ ხდებიან თავდებები. მეორე ჯგუფში შედიან ურთიერთდაფინანსების საზოგადოებები, რომლებიც ახორციელებენ მცირე მეწარმეობის დაფინანსებას, ინვესტირებას და სუბსიდირებას. ამ ჯგუფში შედის ესპანეთის დაკრედიტების სახელმწიფო ინსტიტუტი. გარდა ამისა ესპანეთში არის მცირე ბიზნესის ინტერესთა დაცვის ბევრი ორგანიზაცია. მაგალითის სახით შეიძლება

მოვიყვანოთ მცირე ბიზნესის ასოციაცია და სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელთა ფილიალებიც განთავსებულია ყველა ქალაქში. [23.გვ2]

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარ დადებით ფაქტორად ესპანეთში შეიძლება დავასახელოთ ბიუროკრატიის მინიმალური დონე. საწარმოს რეგისტრაცია და ლიცენზიის აღება განაცხადის შეტანიდან 24 საათში ხდება, ჩინოვნიკების მხრიდან ზედმეტ მოთხოვნათა გარეშე. ამასთან, ეს შეიძლება გააკეთოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქემაც. მინიმუმადეა დაყვანილი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქციები. [30]

დღეს-დღეობით ესპანეთის ეკონომიკაში ისევე როგორც მრავალი წლის განმავლობაში მცირე ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ერთ ერთი მთავარი ფაქტორიც სწორედ, მცირე ბიზნესია. ქვეყანაში წარმართული მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც მყარ ნიადაგს უქმნის მცირე ბიზნეს, უზრუნველყოფს იმას რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. [31]დღეს ესპანეთის ბიზნესები დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით სტატისტიკა შემდეგნაირია:

საწარმოების რაოდენობა თანამშრომლების რიცხვის მიხედვით



[32]

დიაგრამა 1.

[30] ო.გოგიაშვილი. ''მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში''. თბილისი. 2013.

[31] დ.ადვაძე. ''მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები'' გვ.96 2015.

[32] Fernardo Forte 2018წ. Number of enterpriceses in spain in 2019, by number of employees

როგორც ვხედავთ 2019 წლის მონაცემებით ესპანეთში ისეთ მცირე საწარმოებს რომელშიც მხოლოდ დამფუძნებელი მუშაობს ძალზედ დიდი წილი უჭრავს მთლიან მაჩვენებელში.

გერმანიაში ფედერალური კლასიფიკატორის მიხედვით მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც მუშაობს არა უმეტეს 49 ადამიანისა და ყოველწლიური ბრუნვა 1 მილიონზე ნაკლებია. მცირე საწარმო ეს ის ფირმაა, რომელსაც მართავს იურიდიულად დამოუკიდებელი მეპატრონე და რომელიც უშუალოდ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მთლიანად იღებს თავის თავზე ეკონომიკურ რისკებს და რომელიც, როგორ წესი, თვითონ აფინანსებს თავის საქმიანობას კრედიტების მოზიდვის გარეშე.[33]

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა მოიცავს 500-ზე მეტ ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გულისხმობს ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელების და მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებაში. ასევე ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან. [19,გვ8]

სახელმწიფო მცირე საწარმოებს უადვილებს ახალ ტექნოლოგიებზე და კაპიტალზე გასვლას. მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ფედერალურ დონეზე განიხილება, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გადაეცემა ქვედა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს (მიწებს, ქალაქებს, ოლქებს). საკითხის ყურადღებით შესწავლის შემდეგ, სპეციალიზირებული კვლევითი ცენტრების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიიღება საკანონმდებლო გადაწყვეტილება. ინვესტიციებს მცირე ბიზნესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მათი სიმცირე აფერხებს ახალი საწარმოების შექმნას და არსებული საწარმოების ადაპტირებას მსოფლიო ეკონომიკის ცვალებად გარემოსთან. ფუნქციების დიდი ნაწილი გადაცემული აქვს სპეციალიზირებულ ბანკებს.

[33] საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

სპეციალიზირებულ ჟურნალებში რეგულარულად ქვეყნდება მცირე ბიზნესში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი. 2003 წელს Kfw[34] ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა სპეციალიზირებული მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკი, რომლის მიზანია მცირე საწარმოების უფრო მძლავრი მხარდაჭერა. კრედიტების გაცემის პროცედურა ერთნაირია ყველასთვის, მხოლოდ საწარმოს გადახდისუნარიანობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კრედიტის მიღებისათვის. ბანკის პირდაპირი დახმარება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:[35]

- სახელმწიფო საინვესტიციო სუბსიდიების, როგორც წესი, უსასყიდლოდ გაცემა. ისინი საინვესტიციო დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს ფარავენ.
- შეღავათიანი კრედიტები გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე საბანკო კრედიტების გარანტიებისა და საინვესტიციო კომპანიების წილობრივი მონაწილეობით.

გერმანიაში სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ 500-ზე მეტი ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამა ხორციელდება დამწყები მეწარმეებისთვის. კერძო ბიზნესის წამოწყებისათვის ყველაზე დიდ ხელისშემშლელ ფაქტორად საკუთარი სახსრების არარსებობა მიიჩნევა. ამ შემთხვევაში დამწყებმა მეწარმემ შესაძლებელია მოიპოვოს სპეციალური შეღავათიანი კრედიტი, რომლის მაქსიმალური ოდენობა 1 მილიონს აღწევს (პროექტის ღირებულების არა უმეტეს 50%), ხოლო წლიური განაკვეთი 5 პროცენტს. ასეთი კრედიტის მაქსიმალური ვადა 20 წელია. ამასთან ინვესტიციების 40%-მდე მიღება გარანტიის გარეშეა შესაძლებელი, პირველი 2 წელი განთავისუფლებულია პროცენტებისაგან, ხოლო კრედიტის დაბრუნება იწყება მე-11 წლიდან. ამგვარი სახის დაკრედიტებაზე რისკს სახელმწიფო იღებს. [36]

2012 წელს მცირე და საშუალო ბიზნესმა დასაქმა სამსახურის მძებნელთა 60%. 11.8 მილიონი ადამიანმა მუშაობა დაიწყო საშუალო ფირმებში რომლის თანამშრომლების რაოდენობა მერყეობდა 10 და 499 ადამიანამდე. მცირე ბიზნესმა სადაც თანამშრომლების რაოდენობა 10ზე ნაკლები იყო დაასაქმა 3,6 მილიონამდე ადამიანი.[37]

---

[34] The kfm formerly KFW Bankengruppe(banking group)
[35] Paul Ames German support for small business 2013
[36] მცირე ბიზნესის შეღავათები გვ.1

გერმანიაში იზრდება მოსახლეობის ჩართულობა მცირე ბიზნესში და საშუალო ბიზნესში. თვითდასაქმებულების რაოდენობა 780 000 დან 4,4 მილიონამდე გაიზარდა 2000 წლიდან 2012 წლამდე. მნიშვნელოვანია რომ, თვითდასაქმებულების [38]1,6 პროცენტზე მეტს მანდილოსნები შეადგენენ და მათი რაოდენობა დღითი-დღე იზრდება.

ასევე ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა:



[39]

დიაგრამა 2

გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 10 წელზე ნაკლებ დროში აღადგინა თავისი ეკონომიკა და მთელი მსოფლიო გერმანიის ეკონომიკურ სასწაულზე აალაპარაკა. თანამედროვე გერმანიის ეკონომიკაში მცირე ბიზნესი დიდ როლს ასრულებს და ნებისმიერი ქვეყნისათვის მისაბაძი მაგალითია.

საფრანგეთში მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 500 ადამიანს და წლიური ბრუნვა გადასახადების გადახდამდე 200 მილიონზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება.

საფრანგეთში ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამარტივებული და დროებითი გადასახადების რეჟიმს ძალიან მცირე საწარმოებისათვის. ეს საწარმოები საგადასახადო ორგანოებში არ წარადგენენ

[38] იხ.წყარო-http://www.parliament.ge/files/437_1262_228785_437_1262_702572_mcirebiznesi[1].pdf
[39] Germany-European Commision-europa Eu 2019

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციას და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს იხდიან, რომლის მოცულობაც ფირმის საქმიანობის სფეროზეა დამოკიდებული. მცირე საწარმოებში მხოლოდ შესყიდვების და ფინანსური შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდება. გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი საგადასახადო ორგანოებში ბალანსის ძირითადი მონაცემების, ძირითადი ფონდების, ინვესტიციების მოცულობისა და საქმიანობის ფინანსური შედეგების წარდგენას ითვალისწინებს. მცირე საწარმო, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი აქვს და რომელიც ფიზიკური პირის საკუთრებაა, საშემოსავლო გადასახადს 19 პროცენტიანი განაკვეთით იხდის, მაშინ როცა სტანდარტული განაკვეთი 33 პროცენტს შეადგენს. ამ სახით მიღებული სახსრების ნაწილი გამოყენებული უნდა იქნასამავე საწარმოში. ფორმალურად ეს საწარმოები დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან მაგრამ ამას აკეთებენ არა ყოველ თვიურად არამედ კვარტრულად.

საფრანგეთში მცირე ბიზნესში ჩართულია 9 მილიონზე მეტი ადამიანი, რაც დასაქმებულთა 61%-ს შეადგენს. მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 55-62 პროცენტების ფარგლებში მერყეობს. 2018 წლის სტატისტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის წილზე ქვეყანაში შემდეგნაირია:

საწარმოთა ზომების მიხედვით და დასაქმებულთა რაოდენობა საფრანგეთში

საწარმოს ზომა	საწარმოთა რაოდენობა			დასაქმებულთა რაოდენობა		
	საფრანგეთი		ევროკავშირი	საფრანგეთი		ევროკავშირი
	რიცხვი	წილი	წილი	რიცხვი	წილი	წილი
მიკრო	2 824 470	95.3 %	93.1 %	4 131 973	27.7 %	29.4 %
მცირე	117 494	4.0 %	5.8 %	2 803 731	18.8 %	20.0 %
საშუალო	18 596	0.6 %	0.9 %	2 245 728	15.1 %	17.0 %
SMEs	**2 960 560**	**99.9 %**	**99.8 %**	**9 181 432**	**61.6 %**	**66.4 %**
დიდი	4 089	0.1 %	0.2 %	5 713 171	38.4 %	33.6 %
ჯამი	**2 964 649**	**100.0 %**	**100.0 %**	**14 894 603**	**100.0 %**	**100.0 %**

[40]

ცხრილი 1

საფრანგეთში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საკითხებით სპეციალური სამინისტროა დაკავებული. მთავრობის და სამინისტროს სპეციალისტების მიერ მცირე და საშუალო

[40] France-European Commision-europa Eu 2018

საწარმოების დასახმარებლად მზადდება სპეციალური პროგრამები, ასევე იქმნება პროგრამები წარმოების სტიმულირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.[41]

2003 წლის დასაწყისში პარლამენტმა განიხილა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამა, რომელიც შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებს:

1. ყოველწლიურად 200 ათასი ახალი საწარმოს შექმნა. ამ მიზნით სახელმწიფო ამარტივებს საწარმოების შექმნის პროცედურებს და ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას მათი მუშაობისათვის. სახელმწიფო აძლევს 6 თვიანი კვლევითი დეპარტამენტი შემწეობას იმ უმუშევრთათვის, ვისაც სურვილი აქვს თავისი საქმე წამოიწყოს.
2. არსებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, კერძოდ, მათი ინტენსიური დაფინანსება. სამინისტროს სპეციალისტების შეფასებით მცირე ბიზნესზე ინვესტიციების 17% მოდის.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებით 50-მდე ორგანიზაციაა დაკავებული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- კრედიტების გარანტიების ეროვნული ფონდი;
- რეგიონალური განვითარების საზოგადოება;
- მრეწველობის განვითარების ინსტიტუტი;
- სიახლეების დაფინანსების კომპანიადა საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი, რომელსაც საკუთრების შერეული ფორმა აქვს, ანუ ერთი მხრით ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო მეორე მხრით, ნახევრად სახელმწიფოებრივ დეპოზიტებისა და აქტივების მართვის სალაროს.

საწარმოთა დაფუძნებისას მეწარმეებს სახელმწიფო დახმარებას უწევენ ტერიტორიული მოწყობის სამინისტროების ორგანოები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - რეგიონული და გენერალური საბჭოები, ასევე მსხვილი კორპორაციების მიერ შექმნილი კერძო ფონდები, რომლებიც, თავის მხრივ, მიზნობრივ საგადასახადო შეღავათებს იღებენ.

[41] საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გასანეიტრალებლად სახელმწიფომ 2 მლრდ. ევროს მოცულობის ფონდი შექმნა, რომლის სახსრებიც მიმართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისა და დაკრედიტებისათვის.

საფრანგეთის პოლიტიკა დიდ მხარდაჭერას უცხადებს მცირე ბიზნესს და შესაბამის დახმარებებსაც უწევს მას. ამიტომაც ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესიდან მიღებული სარგებელი მართლაც დიდია.

გაერთიანებულ სამეფოში მცირე ბიზნესის სუბიექტად საწარმოს მიკუთვნების საკითხი ეფუძნება ბრუნვისა და დასაქმებულთა მაჩვენებლებს. უმცირეს საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 1-25 ადამიანია, მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც მუშაობს 25-50 ადამიანი. ამასთან, გადამამუშავებელ მრეწველობაში მცირედ ითვლება საწარმო, სადაც 200-ზე ნაკლები ადამიანია დასაქმებული, მაშინ როცა ვაჭრობაში მცირე საწამოდ ითვლება ის, რომლის წლიური ბრუნვაც 400 ათას ფუნტზე ნაკლებია. კვლევითი დეპარტამენტი კანონმდებლობის თანახმად (კანონი "კომპანიების შესახებ") მცირე საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ 2 კრიტერიუმს მაინც:

- ბრუნვა წლის განმავლობაში – არაუმეტეს 2,8 მლნ. ფუნტი.
- აქტივები – არაუმეტეს 1,5 მლნ. ფუნტი.
- დასაქმებულთა რაოდენობა – 50 კაცი.

გაერთიანებულ სამეფოში მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 5.6 მილიონს აღემატება აქედან 5.4 მილიონი მცირე ბიზნესზე მოდის სადაც 0-10 კაცამდეა დასაქმებული. მცირე ბიზნესი ქვეყანაში არსებული ბიზნესების 96%-ს შეადგენს. 2018 წლის მონაცემები, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა ბიზნესის ზომის მიხედვით შემდეგნაირია:[42]

2018წ დასაქმებულთა ადამიანების რაოდენობა ბიზნესის ზომის მიხედვით გაერთიანებულ სამეფოში

[42] ე.გობეჯიშვილი. 'საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო სრულყოფის მიმართულებები'. თბილისი 2013.



[43]

დიაგრამა 3

მცირე ბიზნესის განვითარებას კოორდინაციას უწევს "მცირე ბიზნესის სამსახური", რომელიც გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზირებული სააგენტოა. ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრალიზირებული სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებები ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქვეყნის ბიუჯეტში. მის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსების მოძიების გაუმჯობესება;
- საგადასახადო და ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება;
- საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურების გაწევა.

ამასთანავე, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გულისხმობს მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამების ფუნქციონირებას, რომელიც შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- ახალი და მოქმედი ფირმების საკონსულტაციო პროგრამები;
- ფინანსური დახმარების პროგრამები;
- მცირე საწარმოების საექსპორტო საქმიანობის წახალისების პროგრამები;
- მცირე საწარმოების დახმარების რეგიონული პროგრამები.

გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოების სახსრები, რომლებიც მიმართულია საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, განთავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, ხოლო სამეცნიეროკვლევით და საკონსტრუქციო-საცდელ სამუშაოებზე მიმართული სახსრები ნაწილობრივ თავისუფლდება დამატებული

[43] 2018 SBA Fact sheet United Kingdom-European Commission 2018

ღირებულებისა და ქონების გადასახადისაგან. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათას ფუნტ სტერლინგს, საერთოდ არ რეგისტრირდებიან დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებად. ამასთანავე, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი მოგების გადასახადის პროგრესული ნიხრები ყველაზე მისაღებია მცირე საწარმოებისათვის.[19.გვ12]

გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოებისათვის მოქმედებს კრედიტების დაზღვევის პროგრამა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ "მცირე ბიზნესის სამსახური" კომერციულ ბანკს აძლევს მის მიერ გაცემული კრედიტის 75 პროცენტის დაბრუნების გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ მცირე საწარმო გადახდისუუნარო შეიქმნება. გარდა ამისა, სესხის კონკრეტული პირობების განსაზღვრა კომერციული ბანკის პრეროგატივად რჩება, სახელმწიფო უწყება მხოლოდ გადაწყვეტილებას იღებს მასზე გარანტიის გაცემის თაობაზე. ამ მიზნებისათვის ქვეყნის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 მილიონამდე ფუნტი სტერლინგი გამოიყოფა. მცირე საწარმოებს ბიუჯეტიდან შეუძლიათ სპეციალური გრანტების მოპოვება, მაგრამ ამგვარი სახის მხარდაჭერა შერჩევით ხასიათს ატარებს. სახელმწიფო მხოლოდ პრიორიტეტულ პროექტებს უჭერს მხარს. მცირე საწარმოებს გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა (ეკონომიკის ცალკეულ სექტორების მიხედვით) ევროკავშირის პროგრამების ფარგლებშიც შეუძლიათ მოიპოვონ.[44]

გაერთიანებულ სამეფოში საწარმოებზე კონტროლის ისეთი სისტემა მოქმედებს, რომ ბიზნესის ორგანიზება და გამოყენება არაკანონიერი საქმიანობისათვის (თაღლითობა, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სხვა) პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნული სისტემა საწარმოს საქმიანობისა და ორგანიზების მრავალ ეტაპზე მოქმედებს: ბანკში ანგარიშის გახსნიდან დაწყებული, საგადასახადო და საფინანსო ანგარიშგებით დამთავრებული. ცალკეული პროგრამების ფარგლებში ახალშექმნილი ფირმებისთვის იზღუდება საკრედიტო რესურსებით სარგებლობა. ასე მაგალითად, საწარმოს, რომელსაც ორ წელზე ნაკლები მუშაობის გამოცდილება აქვს, არ ეძლევა სახელმწიფო გარანტია იმ სესხზე, რომლის მოცულობაც 100 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება.

[44] "Payments UK launches to become new voice for industry". Payments UK. 29 June 2015. Retrieved 3 July 2015.

უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, მმართველობის რეგიონულ ცენტრებში და კერძო საკონსულტაციო ფირმებში მოქმედებენ მცირე ბიზნესის კურსები 6-10 კვირიანი ხანგრძლივობით. კურსები ფინანსდება მცირე საწარმოს სპეციალისტების მომზადების სამთავრობო სააგენტოს მიერ. ბრიტანეთის მთავრობის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ბრიტანეთის მცირე საწარმოები ყველაზე საიმედონი არიან ევროპაში. ეს დადასტურებულია კვლევებით, რომელიც ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ ევროპის ცხრა სახელმწიფოში. გარდა იმ პროგრამებისა, რომლებს გააჩნიათ უნივერსალური მახასიათებლები, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ მცირე საწარმოების დახმარებას ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში (გარემოს დაცვა, სამეცნიერო კვლევები უახლეს დარგებში და ა.შ.). მაგ., მცირე საწარმოებს შორის ტარდება ყოველწლიური კონკურსი საუკეთესო კომერციული სტრატეგიის შემუშავებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაციის საკითხებში. დიდ ბრიტანეთში ახლად რეგისტრირებული მცირე საწარმოების 90%-ზე მეტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ფუნქციონირებს, ხოლო 70% - სამი და მეტი წლის განმავლობაში. [13, გვ32]

ევროკავშირის ქვეყნების გარდა მსოფლიოში მრავალი ქვეყნის მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი რომლებმაც მცირე და საშუალო ბიზნესის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკაში წარმატებას მიაღწიეს , დღეს დღეობით წარმოუდგენელია განვითარებულ ქვეყნებზე ვსაუბრობდეთ და არ შევეხოთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფედერალური კანონით “მცირე ბიზნესის შესახებ” მცირე საწარმო არის ფირმა, რომელსაც ერთი ან რამდენიმე მეპატრონე ჰყავს, დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 500 კაცს, აქტივების მოცულობა 5 მლნ. აშშ დოლარს და წლიური მოგება 2 მლნ. აშშ დოლარს. დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით საწარმოები შემდეგნაირად იყოფა:

- 1 – 24 დასაქმებული – უმცირესი;
- 25 – 99 დასაქმებული – მცირე;
- 100 – 499 დასაქმებული – შუალედური;
- 500 – 999 დასაქმებული – მსხვილი;
- 1000 და მეტი დასაქმებული – უმსხვილესი.

აშშ-ში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებამ გრძელი გზა განვლო, მისი საწყისები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მომდინარეობს, ანტიმონოპლოიური აქტების მიღებით. აშშ-ში თვლიან, რომ მცირე ბიზნესის დახმარება აუცილებელია, რადგან ის ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გადასახადებს იხდის ბიუჯეტში. ასევე მცირე ბიზნესი ხშირად გადაიზრდება ხოლმე დიდში რაც ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას ზრდის. ამერიკის ტექნოლოგიური სიახლეების 55% მცირე და საშუალო ბიზნესის მიერაა შექმნილი.

აშშ-ს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ბიზნესში ეფექტურია, როცა ის ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს და არა მხოლოდ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისას. სტატისტიკის მიხედით მცირე ბიზნესში რეგისტრირებული კლიენტების 85% ერთი წლის შემდეგ კოტრდება, მაგრამ გადარჩენილების განვითარება და წარმატებიდან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება დანახარჯებს.

აშშ-ში მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების 80%-ზე მეტს. აღსანიშნავია , რომ მათ შორის ჭარბობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების რიცხვი, აქედან კიდევ ერთი პოზიტიური დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელია . მცირე ბიზნესის როლი სოციალურ განვითარებაში დიდია. დღეს მცირე ბიზნესი აშშ-ში წარმოადგენს ექსპორტის 33 %-ს , ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტის 42%-ს უზრუნველყოფს.

2018 წ აშშ-ს მცირე ბიზნესში დასაქმებული ადამიანების წლოვანება



[45]

[45] 50 Noteworthy Small Business Statistics in 2018 Bianka Pasare

დიაგრამა 4.

ზემოთ მოყვანილი, სტატისტიკა და ფაქტები გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეები მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის დინამიკაზე. ხვდებიან რა, რომ სხვა სფეროში და სხვა ადგილზე მათი საქმეები უკეთ წავა, მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეებს ძველი ბიზნესის დატოვება და ახლის წამოწყება ურჩევნიათ. ამერიკელები ამ მხრივ საკმაოდ ადაპტირებული არიან და სწრაფად გადაწყობა შეუძლიათ. თუნდაც მათი ბიზნესი კრახით დამთავრდეს, ენთუზიაზმს არ კარგავენ და ძველი ბიზნესის დასასრულს ახლის დასაწყისად აღიქვამენ. სავარაუდოა, რომ ამ ფსიქოლოგიურ ფენომენში იმალება მთელი ამერიკული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო. მცირე და საშუალო მეწარმეობა აშშ-ში სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირებს: მატერიალურ წარმოებაში, ვაჭრობაში, ფინანსურ სექტორში, სოციალური მომსახურების სექტორსა და ინოვაციის სფეროში. მცირე საწარმოების რიცხვი აშშ-ში განუწყვეტლივ იზრდება. ასე, მაგალითად, 1983 წლიდან 2006 წლამდე მათი რაოდენობა 13 მილიონიდან 26 მილიონამდე გაიზარდა. დღეისათვის აშშ-ს სამუშაო ადგილების 2/3 შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას მიკუთვნებული კომპანიებისა და სტრუქტურების მიერ . მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის ათვისებაში: აშშ-ში გამოგონებათა ძირითადი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო სპეციალიზირებული ფირმების წილად მოდის. [46]თვითმფრინავების, ვერტმფრენების, კონდინციონერების, პერსონალური კომპიუტერების და სხვა პროდუქციის წარმოება თავდაპირველად მცირე და საშუალო საწარმოებში დაიწყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ფილოსოფია და პრინციპი ქვეყანაში, რომელიც ტრადიციულად ითვლება "კაპიტალიზმის დასაყრდენად", არახალია. იგი გაცილებით ადრე, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა. ფედერალური პროგრამები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში ახლა მუშავდება, აშში 1932 წლიდან მოქმედებს. დიდი დეპრესიის შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების სუბსიდირება, რომლებიც ომით დაზარალდნენ. ამ

[46] Modern Applied Statistics with S (Statistics and Computing) 4th Edition by W.N. Venables (Author), B.D. Ripley (Author)

პერიოდში სწორედ მცირე ბიზნესი უზრუნველყოფდა აშშ-ში სამუშაო ადგილების შექმნას და ინარჩუნებდა უაღრეს სოციალურ მნიშვნელობას

1942 წელს მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“. 1953 წელს აშშ-ში შეიქმნა ფედერალური სააგენტო - მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია, რომელიც დღესაც იცავს მცირე ბიზნესის ინტერესებს სამთავრობო დონეზე. ამჟამად მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია ითვლის 3700 თანამშრომელს. თითოეულ შტატში მოქმედებს მისი რეგიონული განყოფილება 30-40 კაცის შემადგენლობით. ადმინისტრაციას თავისი განყოფილებები გააჩნია ქვეყნის 90 დიდ ქალაქში. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ყველა განყოფილება აშშ-ს ტერიტორიაზე გაერთიანებულია ერთიანი კომპიუტერული ქსელით. ეს ორგანიზაცია ფინანსურ და კონსულტაციურ მხარდაჭერას უწევს მეწარმეებს, ეხმარება სახელმწიფო დაკვეთების მიღებაში და მსხვილ მეწარმეებთან კონტრაქტების გაფორმებაში. სააგენტოს ფილიალები განთავსებულია ყველა დიდ ქალაქში. ამგვარად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ყველა შტატზე ვრცელდება. სააგანტოს ძირითად მიზნებს შეადგენს:

- მცირე და საშუალო ბიზნესის უშუალო სუბსიდირება და კრედიტირება საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე
- დახმარება კრედიტის მიღებაში და გარანტიების წარდგენა კრედიტებზე ბიზნესისათვის
- ბიზნესის ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა

ფედერალური მთავრობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კონკურენციული გარემოს შენარჩუნება და განვითარება, რომელიც საწარმოო დანახარჯების შემცირების გზით სურვილს აღუძრავს მეწარმეებს გადავიდნენ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების ამოყენებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია 2 პროგრამა რომელსაც SBA ახორციელებს: [47]

პროგრამა "7a"-ს მიზანია მცირე მეწარმეობისადმი გარანტიების მიცემა იმ ასპექტით, რითაც ჩვეულებრივ პირობებში ამის მიღწევა შეუძლებელია. სესხის მიზნების, ვადების და საერთო თანხის მიხედვით გარანტიამ შეიძლება შეადგინოს 75%, თუკი სესხი 750 ათას დოლარს არ აჭარბებს.

[47] დ.ადვაძე. ‘’მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში პრობლემები და პერსპექტივები’’. 2013.

პროგრამა "504"-ის მიზანია დაეხმაროს გაფართოებასა და მოდერნიზაციაში მოქმედ მცირე საწარმოებს. პროგრამა იღებს ინფორმაციას ფირმის საქმიანობის შესახებ და თავაზობს გრძელვადიან კრედიტს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით უძრავი ქონების, დანადგერების და ტექნოლოგიების შესაძენად. SBA-ს ბიუჯეტის 72% იხარჯება მცირე ბიზნესის ტრადიციულ პროგრამებზე ("7a"), ხოლო 19,6% პროგრამა "504"-ზე. 7,2% ეთმობა ერთობლივი მცირე საწარმოების შექმნის მხარდაჭერას, ხოლო 0,5% არის მიკროკრედიტები, რომელიც ხშირად არადაბრუნებადია. მიუხედავად იმისა, რომ SBA-ს მომსახურე კლიენტთა 85% პირველივე წელს კოტრდება, სიცოცხლისუნარიან ფირმათა მიღწევები მაინც ფარავს ეროვნული ეკონომიკის ამგვარ დანაკარგებს. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამას საგანგებო სიტუაციების (სტიქიური უბედურებები, სოციალური არეულობები, ტერორისტული აქტები). აშშ-ში მცირე ბიზნესზე ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათები. ასეთია მაგალითად, “პირველი წლის ბონუსი”, როცა გადასახადი გადაიხდება დასაბეგრი თანხის მხოლოდ ნახევარზე.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო მხარდაჭერა და გადამზადება. ამ მიზნით ყოფილ და ახლანდელ მცირე მეწარმეებს უტარდებათ ტრეინინგები, კონსულტაციები. ასევე მნიშვნელოვანია ქალ მეწარმეთათვის ცნეტრების ფუნქციონირება. აღსანისნავია რომ იმ საწარმოებში სადაც მეპატრონეები მანდილოსნები არიან , 9 მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ასევე გამოსაყოფია ექსპორტის ხელშეწყობის ცენტრები, რომლებიც ვაჭრობის სამინისტროს დახმარებით შეიქმნა. აღნიშნული ცენტრები არჩევენ ექსპორტზე ორიენტირებული პროექტების დამფინანსებელთა კანდიდატურებს, ასევე აწარმოებენ , მცირე ბიზნესის საგარეო ვაჭრობის დაკრედიტებას.

ასევე, მნიშვნელოვანია გადასახადების პოლიტიკაში ცვლილება. ფედერალური გადასახადების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობების შემცირება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, სტიმულს იძლევა საშუალო საწარმოების გასახსნელად, აძლიერებს მათ პოზიციებს ამერიკის ეკონომიკაში, ეს კი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ხერხი სახელმწიფო დამკვეთების სახით გამოსარჩევია , რადგან უმსხვილეს დამკვეთს წარმოადგენს აშშ-ს სახელმწიფო მთავრობა. მაგ: 2003 წელს მათ შეიძინეს 247 მილიარდი დოლარის საქონელი, რომლიდანაც მცირე ბიზნესმა 62,7 მილიარდზე მეტი შემოსავალი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებშიც აქტიურად მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, 2010 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ“. დოკუმენტი გულისხმობს ადგილობრივი ბანკების დაფინანსების გაზრდას ბიზნესის კრედიტირების პროცესის აქტივაციისათვის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას კრედიტებზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და კერძო მეწარმებისათვის. იგი ასევე ითვალისწინებს საგადასახადო კრედიტების გაცემის პრაქტიკის გაფართოებას და მეწარმეთა ზოგიერთი ჯგუფის ნაწილობრივ გათავისუფლებას საშემოსავლო გადასახადისაგან.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში უპირატესობას ანიჭებენ დახმარების გაწევას არა ყველასათვის, არამედ ძირითადად ინოვაციური საწარმოებისათვის. კერძოდ, ფედერალური ხელისუფლება აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოების სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯების 35%-ს. შტატების და ადგილობრივ თვითმმართველობათა დონეზე მოქმედებს სპეციალური პროგრამები ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების კონკრეტული საჭიროებების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, სახელმწიფო აფინანსებს ვენჩურულ ბიზნესს, სახელმწიფოს თანამონაწილეობით შექმნილი მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიების მეშვეობით, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო და ფინანსური შეღავათებით და სახელმწიფო გარანტიებით კრედიტებზე (75%-მდე) მცირე საწარმოებისათვის. ეს იძლევა ხელშესახებ შედეგებს: თუ, აშშ-ში ყოველწლიურად ჩამოყალიბებული ახალი 800 ათასი საწარმოდან 75 ათასი წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურს და ინოვაციურს.

ზემოთ მოყვანილი თითოეული სტატისტიკა ხაზს უსვამს და ადასტურებს იმ ფაქტს რომ მცირე ბიზნესის როლი აშშ-ში სათანადადოდ არის შეფასებული და ამ ქვეყანაში იქმნება მყარი ნიადაგი მცირე ბიზნესის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. მცირე

ბიზნესის როლი ამ ქვეყანაში არამარტო ფინანსური მაჩვენებლით შემოიფარგლება, მაგალითად ასეთია მცირე ბიზნესის ბედნიერების მაჩვენებელი 2019 წელს:



[48]

დიაგრამა 5.

დღეს-დღეობით აშშ-ში მცირე ბიზნესის მფლობელები არამარტო ბედნიერები არამედ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულებიც არიან. მხოლოდ 24-მა პროცენტმა მცირე ბიზნესის მფლობელებიდან შეაფასა საკუთარი თვიდაჯერებნა 10 ბალიანი სკალიდან ხუთს ქვემოთ.

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ინტერნეტის როლს აშშ-ს მცირე ბიზნესის მაჩვენებელზე. ამერიკელების უმრავლესობა მიმართავს ინტერნეტში შოპინგს. დღითი დღე ასეთი ადამინების რიცვი თანდათანობით იზრდება . სტატისტიკის მიხედვით ამერიკაში მცირე ბიზნესების 46% ს არა აქვს საკუთარი ვებ გვერდი, მათ მფლობელები ამ ყველაფერს იმით ხსნიან რომ მათი საწარმო ძალიან პატარაა და არ საჭიროებს საიტს. მიუხედავად ამ ფაქტისა გამოკვლევებმა აჩვენა რომ, მცირე ბიზნესი უფრო წარმატებულია თუ მომხმარებელს მასთან წვდომა ინტერნეტის მეშვეობითაც შეუძლია. რადგან მომხმარებელთა საკმაოდ დიდი სეგმენტი უკვე ინტერნეტ სივრცეშია.

იაპონური გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნეს საწარმოების მხარდაჭერაში, ძალზედ დიდია, ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების დიდი წილიც სწორედ მცირე ბიზნესის მხარდაჭერისაკენ არის მიმართული. ითვალისწინებენ რა ქვეყნის ეკონომიკაში მცირრე ბიზნესის უდიდეს როლს , მთავარ ყურადღებას რეფორმების პროცესში უთმობენ მცირე ბიზნესის და მთავრობის ურთიერთობის დახვეწას და მაქსიმალური სარგებლის მიღება. ქვეყნის მთავარი მიმართულება გახდა სამეცნიერო-

[48] 50 Noteworthy Small Business Statistics in 2019 Bianka Pasare

ტექნოლოგიური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და ამით ქვეყნის მწარმოებულობის ზრდა. ამიტომაც ამ ქვეყანაში შექინმნა ბევრი ბიზნეს-ტექნოლოგიური ინკუბატორი.

მეორე მსოფლიო ომითა და ატომური დაბომბით განადგურებული ქვეყანა მთავრობამ, სწორედ მცირე ბიზნესით წამოაყენა ფეხზე ქვეყანა. იაპონიამ მას შემდეგ არნახულ, გაუგონარ წარმატებას მიაღწია. ამ ქვეყანაში მთავრობა და ბიზნესი მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩევა, რომლის ნაყოფია ის მნიშვნელოვანი, ეკონომიკაზე კეთილი ზეგავლენის მქონე რეფორმები და კანონები, რომელიც განაპირობებს საწარმოთა ნორმალურ რეჟიმში განვითარებას, მცირე ბიზნესში დაგროვებული პრობლემების გადალახვას. 1947 წელს მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა იაპონიამ, გამარჯვებული მოკავშირეების ზეწოლით მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც ეყრდნობა ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს. იაპონიაში დამყარდა კონსტიტუციური მონარქია, სადაც მონარქის უფლებები შეზღუდული იყო. მონაექი გახდა ცერემონიალური ფიგურა, ისევე როგორც ინგლისში და სხვა მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებში და მისი როლი განსაზღვრულია როგორც სიმბოლო სახელმწიფოსი და ხალხის ერთიანობისა. ის გვევლინება იაპონური კულტურის და ტრადიციების დამცველად. ძალაუფლება თავმოყრილია პრემიერ-მინისტრის ხელში, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

იაპონია მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანაა, ის თავს ირჩენს მხოლოდ თავის ქვეყანაში წარმოებული მაღალხარისხიანი პროდუქციის ექსპორტით. 2014 წლის მონაცემებით, იაპონიას აქვს მესამე უდიდესი ეროვნული ეკონომიკა მსოფლიოში აშშ-სა და ჩინეთის შემდგომ . იგი არის მსოფლიოს მეოთხე უდიდესი ექსპორტიორი და იმავდროულად იმპორტიორი ქვეყანა. იაპონიის იმპორტის ძირითადი სქონელია უახლესი მოწყობილობა-დანადგარები, სხვადასხვა სახის საწვავი, კვების ზოგიერთი პროდუქტი, ქიმიკატები, ტექსტილი და ყველა საჭირო სხვა ნედლეული ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოებისათვის.[49]

იაპონიაში სხვადასხვა სფეროში მსოფლიო მნიშვნელობის 300-ზე მეტი კომპანია მოქმედებს, რომელთა ბრენდებია სახელდობრ: ტოიოტა, ნისანი, ჰონდა, პანასონიკი,

[49] გ.ქუთათელაძე ''იაპონური მენეჯმენტი და მისი ტრანსფერის თეორიულ-ემპირიული შესაძლებლობები საქართველოში'' თბილისი 2010წ.

სონი, შარპი, კენონი, მინოლტა, ტაკედა და სხვა. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 30-35 წელიწადში იაპონიამ გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია და ძლიერ სწრაფად გახდა მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი. მეორე მსოფლიო ომმა მრავალი ქვეყანა დაანგრია, მრავალ ქვეყანას ის უშუალოდ არც შეხებია. ამის შედეგად მათ უკეთესი სასტარტო პირობებიც კი ჰქონდათ, მაგრამ ასეთი თვალსაჩინო მიღწევები თითქმის ვერავინან ცოტამ თუ შესძლო.

იაპონიის ასეთი წარმატება განაპირობა მცირე ბიზნესის ხელშეწყობამ და მისმა განვითარებამ. იაპონიაში ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოები მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითარების სტიმულირებას ახდენენ: სესხის, საკრედიტო გარანტიების, საგადასახადო შეღავათების, კადრების სწავლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით. ამის გარდა, მცირე ბიზნესის საწარმოებს ეძლევათ დაუბრუნებადი ფინანსური დახმარება, მხოლოდ ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებაზე, როგორიცაა: წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება ; წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფა მთლიანად იმ დარგებში, სადაც ეს შედარებით ცუდად გამოიყურება (იაპონიაში, მაგალითად, კვების მრეწველობაში აღნიშნულს აფინანსებს ხელისუფლება); უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთობლივად ახალი სამეცნიერო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავება.

იაპონიაში სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოები საშეღავათო პროცენტით გასცემენ სესხებს ისეთი პროექტებისგანსახორციელებლად, როგორიცაა: ახალი სახის პროდუქტისა და ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, ახალი სახის წარმოებისა და ტექნიკის შემუშავება. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას ეწევა იაპონიის მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია. მცირე და უმცირესი კომპანიების კრედიტებით მომსახურებაზე სპეციალიზებულია იაპონიის ნაციონალური ფინანსური კორპორაცია, რომელიც ფლობს ქვეყნის სავაჭროსამრეწველო პალატის უზარმაზარ ქსელს (500-ზე მეტს), ის ყოველწლიურად 500 მილიარდ იენზე მეტ სესხებს გასცემს.

მხარდაჭერის ეს რეფორმები არასრული ჩამონათვალია იმისა თუ როგორ ეხმარება მცირე ბიზნეს იაპონია და როგორ უქმნის კარგ ნიადაგს მისი განვითარებისათვის. შედეგად, მცირე და საშუალო ზომის ფირმები, რომლებიც გაერთიანებულია "მცირე

ბიზნესის" კონცეფციით, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იაპონიის ეკონომიკაში. ისინი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 55%-ს აწარმოებენ და ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა 80%-ზე მეტი მოდის. ასეთ მოწინავე ინდუსტრიაში, როგორც წარმოების მრეწველობაშია იაპონია, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი მთლიან საწარმოთა რიცხვში დაახლოებით ნახევარია და თანამშრომლების რაოდენობა დაახლოებით ¾-ია. სხვადასხვა დარგებში, მცირე ბიზნესის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოების მშენებლობაში, მრეწველობის ყველა მუშაკის 95%-ზე მეტია დასაქმებული, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობაში - 85% -ზე მეტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში - დაახლოებით 90% და ა.შ.

საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვანი წილის გარდა, მცირე ბიზნესი ასრულებს რიგი ფუნქციებს, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანია იაპონიის ეკონომიკის დინამიზმის შენარჩუნებისთვის. პირველ რიგში, აქ, "კაპიტალი იბადება ყოველდღე და ყოველ საათში", ანუ, ახალი ბიზნესები იქმნება. რჩება უაღრესად კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემო, რომელიც არის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი, რადგან იგი ეწინააღმდეგება დიდ კომპანიებში არსებულ მონოპოლიზაციის ტენდენციას. მესამე, მათი მოქნილობისა და მობილობის ძალით, მცირე საწარმოები უფრო სწრაფად ახდენენ შეცვლილ პირობებზე რეაგირებას.

თავი.3 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური პირობები და მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიკა

3.1 მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების ეტაპები საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალი ქვეყნების განვითარება განსხვავებულად მიმდინარეობდა. თითქმის მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და დღეს შეგვიძლია შევაფასოთ შედეგები თუ საიდან დავიწყეთ და სად მივედით. საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობასთან. ეს ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას სხვადასხვა, მათ შორის, სოციალური, კულტურული, ღირებულებითი და ა.შ. განზომილებებიც გააჩნდა, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოდერნიზაციის განსხვავებული კურსი ჩამოაყალიბა. ამ თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამოიყოს ქვეყანათა ჯგუფებიც, რომლებიც პროგრესის მსგავსი დინამიკით და ტრანსფორმაციის მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ნიშნებით ხასიათდება. თეორიულად სამი ამგვარი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება.[50]

პირველ ჯგუფს წარმოადგენს "ახალი ევროპის" ის ქვეყნები, რომელთა განვითარების მიმართულებაზე იმოქმედა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ.

[50] ქ.ციხელაშვილი, თ.შერგელაშვილი, მ.თოქმაზიშვილი 2012წ ''საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი'' გვ.24

მეორე ჯგუფში ის ქვეყნები შედიან, სადაც სახელმწიფოს მშენებლობის სადავეები დემოკრატიული მისწრაფებებიდან, ავტორიტარულ პოლიტიკურ მიმართულებაში გადაინცავლა.

მესამე ჯგუფში ის ქვეყნები შეიძლება მოვიაზროთ, სადაც დასავლური მიმართულება გამოკვეთილია, თუმცა სტაბილური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარე ამოცანად რჩება.

1990 წლიდან დღემდე საქართველომ ტრანსფორმაციიის 29 წლიანი პერიოდი განვლო. მთელი ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფომ მრავალიმიმართლებით დიდი ცვლილებები და რეორგანიზაცია განიცადა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხითაც, მის განსახილველად საჭიროა ქრონოლოგიურად მივყვეთ 1990 წლიდან დღემდე ამ მოვლენებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო საბაზრო, საკანომდებლო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგა. ბუნებრივია, ქვეყანა ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: საჭირო იყო ეროვნული ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ტიპის ინსტიტუტების შექმნა, ქვეყანაში სრულიად უცხოფენომენის ბიზნესის ფორმირება.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების საწყის ეტაპად შეიძლება ჩავთვალოთ 1991-1999 წლები, როცა ქვეყანაში 1991 წელს მიღებული კანონით ,,საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატი ზაციის შესახებ“ , 1992 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზება, ეს პროცესი თითქმის 2000 წლამდე გაგრძელდა. სწორედ ამ წლებში საქართველოში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფას.

საქართველოს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა კანონები და მთავრობის დადგენილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში კერძო სექტორის ჩამოყალიბებასა და მეწარმეობის განვითარებას. მათგან შეიძლება აღინიშნოს კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ რომელიც მიღებული იქნა 1991წელს, ,,საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის

შესახებ“ ასევე 1991 წელს მიღებული და კანონი „მეწარმეობის შესახებ“ 1994 წელი და ა. შ[51]

1995 წლის 1 მარტამდე ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგი-სტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები კი გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 11 აპრილს მიიღო დადგენილება (#196), რითაც უნდა უზრუნველყოფილიყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია მოხდა არა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, არამედ რაიონული სასამართლოების ნებართვის გავლით საჯარო რეესტრში. მეორადი რეგისტრაციისათვის დამწყებ მეწარმეებს ხელახლა დასჭირდათ ახალი მოსაკრებლების შეტანა, საბუთების შეცვლის, ბეჭდისა და შტამპის დამზადებისა და სხვა ხარჯების გაწევა. მრავალი ახლად შექმნილი მცირე ფირმა, ფინანსების უქონლობის გამო, დროულად ვერ გატარდა რეგისტრაციაში და ამის გამო გაუქმებულად გამოცხადდა. საწარმოთა ხელახალმა რეგისტრაციამ ხელი შეუწყო მათი საქმიანობის კანონდაქვემდებარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა ბიზნესის ფორმირებას. 1999 წლამდე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გრადაციით, მცირე საწარმოების კრიტერიუმად მიღებული იყო დასაქმებულთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში.

მცირე ბიზნესის განვითარების მეორე ეტაპი მოიცავს 1999-2002 წლებს. 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს საქართველოს პეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ჩამოყალიბდა და აგრეთვე “მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი. აღნიშნული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედიოდა: მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების კვალობაზე მცირე საწარმოთა აქტივობების ზრდის პროცესი სტაბილური და ეფექტიანი გახდა. შესწავლილი იქნა გარდამავალ ქვეყნებში

[51] თ.ელიაძე. ''სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო-სამართლებრივი რეგულაციები''. 2014.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საერთაშორისო გამოცდილება გამოვლენილ იქნა მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობისათვის აუცილებელი მექანიზმები, რომლებიც მოგვიანებით დანერგილი იქნა პრაქტიკაში მიუხედავად ამისა, 2000-იანი წლების დასაწყისში მრავალი დაბრკოლება არსებობდან რომლების ხელს უშლიდნენ მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას: ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, სისტემური კორუფცია, მოუქნელი ბიუროკრატია, უაღრესად არაეფექტური და კორუმპირებული საგადასახადო და საბაჟო სისტემები.

მესამე ეტაპი მოიცავს 2002-2006 წელს. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის N 309 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული იქნა „2000-2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

- მცირე მოცულობების პირდაპირი სესხები
- მცირე საწარმოთათვის გარანტიების გაცემა კომერციულ ბანკებში სესხების
- მისაღებად
- საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება

საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანიზაცია გასცემდა გარანტიებს შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებზე იმ შემთხვევაშინ თუ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ კომერციული ბანკების მოთხოვნებს, გირაოს ანდა ბიზნეს რისკებთან დაკავშირებით სუბსიდირების მიზანს წარმოადგენდა კომერციული ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა კრედიტის საფასური მისაღები ყოფილიყო საწარმოთათვის. საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების პროგრამა გამოიყენებოდა მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტულ სფეროებში, ეკონომიკური და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრეინინგის სფეროები: პროგრამა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას საინფორმაციო-საკონსულტაციო სფეროში. პროგრამის რეალიზაციის პროცესში მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი ასრულებდა ორ ძირითად ამოცანას:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი საშუალებებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა
- საწარმოთა პერსონალის ტრეინინგისა და სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ამგვარად, საქართველოში 2006 წლამდე მიღებული იქნა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონი 1999 წლის 23 ივლისს;
- მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 26 იანვრის ბრძანებულება;
- მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის N134 ბრძანებულება;
- 2002-2004 წლებში საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამის სესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის N 309 ბრძანებულება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2004 წლის 13 აპრილის დადგენილება №21.[52]

კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმებული იქნა 2006 წელს. მთავრობის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობდა ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპის დანერგვას და ამასთანავე ყველა საწარმოსათვის თანაბარი პირობების შექმნას განურჩევლად მათი ზომისა. შესაბამისად, მთავრობა ესწრაფოდა ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის, ლიცენზიებისა და ნებართვების გამარტივებული სისტემის ამოქმედებას. „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ კანონის გაუქმების შემდეგ განსაზღვრებები მცირე

[52] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბილისი, გვ. 3.

და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილი იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

მეოთხე ეტაპი მოიცავს 2006 წლის მეორე ნახევრიდან 2011 წლის პერიოდს. კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმების შემდეგ, ამავე წელს განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომელიც გვაძლევს მცირე ბიზნესის განსაზღვრებას, კერძოდ: კანონის „მეწარმეთა შესახებ“ შესაბამისად, მცირე საწარმო არის ყველა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა 500 000 ლარს. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2002 წლიდან დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრა 20 კაცით, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მაჩვენებელი 500 000 ლარი დარჩა უცვლელი.

მეხუთე ეტაპი მოიცავს პერიოდს 2011 წლიდან 2014 მდე. 2011 წელს ახალი საგადასახადო კოდექსით რეგლამენტირებულია მიკრო და მცირე ბიზნესი. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

მეექვსე ეტაპი 2014-2016 წლამდე. მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო: წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობისმხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია:[53]

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

[53] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის.

- დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ სააგენტოს მთავარი ფუნქციებია;
- ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში; სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება;
- მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით;
- დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით;
- საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია:

- ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია;
- ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა;
- ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ.

სააგენტოს ფუნქციებს შორისაა:

- ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;

- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისიინფრასტრუქტურის განვითარება;
- ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციურიპროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა;
- საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება;
- ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ

მცირე და მიკრო ბიზნესსზე ასევე პოზიტიურად იმოქმედა სახელმწიოფო პროგრამამ აწარმოე საქართველოში რომელიც, 2014 წლის ივნისში დაიწყო. ამ პროგრამის სამიზნე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა და იგი სამი კომპონენტისგან შედგება: ფინანსური დახმარება, ტექნიკური დახმარება (საკონსულტაციო სერვისები, ინოვაციები და სხვა) და ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა. „აწარმოე საქართველოში“ კომერციულ ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება, რომლებიც სესხებს აძლევენ ბენეფიციარებს. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით, ამ პროგრამის ფარგლებში 92 პროექტს გაეწია დახმარება, რომელთა ნახევარზე მეტი რეგიონებში ხორციელდება. მოსალოდნელი ინვესტიციების მთლიანი მოცულობა დაახლოებით 256.4 მილიონი ლარია (104 მილიონი ევრო), კომერციულმა ბანკებმა კი თითქმის 123 მილიონი ლარის სესხი გასცეს (50 მილიონი ევრო). სესხის საშუალო მოცულობა დაახლოებით 1.5 მილიონ ევროს შეადგენდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბენეფიციარები მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები არ არიან. მეწარმეობის განვითარების სააგენტო სამრეწველო პროფილის 70 პროექტის და სასოფლო-სამეურნეო პროფილის 22 პროექტის განხორციელებაშია ჩართული. ამ პროგრამის მეშვეობით, მთავრობამ სახელმწიფო ქონება 37 საინვესტიციო პროექტს შეღავათიანი პირობებით გადასცა. „აწარმოე საქართველოში“ ინიციატივის გარდა, 2015 წელს „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) კინოინდუსტრიის ხელშეწყობა. ამ პროექტის მიზანი რეგიონებში მიკრო და მცირე

საწარმოების ხელშეწყობაა. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, გაიცემა თანადაფინანსების გრანტები მაქსიმუმ 5,000 ლარის ოდენობით (2,000 ევრო) ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ხოლო მაქსიმუმ 15,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 6 000 ევრო) მეწარმეთა ჯგუფებზე და ბენეფიციართა 20%-იანი ფულადი თანამონაწილეობის პირობით. მეწარმეობის განვითარების სააგენტო ბენეფიციარებს საკონსულტაციო მომსახურებასაც უწევს. 2015-2017 წლებისთვის, მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტისთვის 20 მილიონი ლარი (დაახლოებით 82სზ მილიონი ევრო) გამოიყო. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მონიტორ„ინგის მექანიზმი უკვე შექმნილია და ამ პროგრამის ზეგავლენა საშუალოვად„იან პერსპექტივაში შეფასდება. სააგენტოს აწარმოე საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ხორციელდება სხვადასხვა სახის მხარდამჭერი მექანიზმებით, კერძოდ:[54]

- ინდუსტრიული„ მიმართულების კომპონენტი, რომელიც ფინანსებზე ხელმისაწვდომო„ბის გამარტივების და ტექნიკური დახმარების მეშვეობით გამიზნულია „ბიზნესის განვითარების, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული სა„ წარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობაზე;
- სასტუმრო „ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი, რომელიც რეგიონებში სასტუმრო„ ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობ ინიციატივას წარმოადგენს, მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას.
- მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფინანსურ მხარდაჭერას (საგრანტო პროგრამა) და კონსულტაციას უწევს მიკრო და მცირე მეწარმეებს;
- „ გადაიღე საქართველოში “, რომელიც კინოინდუსტრიის წამახალისებელი პროგრამაა. პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია;

[54] იხ.წყარო http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

- ''აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ საგრანტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)) გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას;[55]

საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი ხელს შეუწყობს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად ან ოპერირებენ ისეთ სექტორში ან ბაზარზე, რომელიც საბანკო სექტორში არსებული საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დაკავშირებულია განსაკუთრებით მაღალ რისკთან.

მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში“ 2018 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.

- 2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია ან პირველად მონაწილეობს მასში, ასევე - მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა.
- იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში, მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას.

[55] იხ. წყარო - http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/ბიზნესის-განვითარება/აწარმოე-უკეთესი-მომავლისთვის

- ცვლილებების შემდეგ, აღარ არის აუცილებელი სამეწარმეო ამხანაგობის შექმნა და ერთ ბენეფიციარს შეუძლია განაცხადი გააკეთოს პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის მთლიან მოცულობაზე.
- პროგრამის ბენეფიციარის/ბენეფიციართა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში "ფარგლებში, მხარდაჭერილია 5313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც გვყავს 8 412 ბენეფიციარი.[56]

3.2 მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემო

მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში საკანონმდებლო გარემო. მრავალი წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის რეცესიული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად იმისი შედეგია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ექცეოდა ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას.

საქართველოს კანომდებლობით მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი სარგებლობს დაბეგვრის შეღავაღიანი რეჟიმით.

მცირე ბიზნესი ეს არის მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდა, მის მიერ

[56] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2008.

განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან განხორციელდება. მცირე ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის ვალდებულება.

მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა (გადაჭარბების თვის დასაწყისიდან იმავე კალენდარული წლის ბოლომდე). ლარს.[57]

საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.

2012 წელს, საქართველოში ბიზნესის რეგისტრაცია კიდევ უფრო გამარტივდა, რადგან რეგისტრაციის საფასურის გადასახდელად ბანკში მისვლა აღარ არის საჭირო.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანების მიხედვით: მცირე ბიზნესის მცირე ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად მეწარმე ფიზიკური პირი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის სერვისცენტრს ან ელექტრონულად წარადგენს განცხადებას შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის - www.rs.ge-ს მეშვეობით. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას

[57] სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ ‘’ საქართველოს მთავრობის ნ.415 დადგენილება’’

და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გონივრულ ვადაში გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს. სერტიფიკატი ძალაშია შემდგომ საანგარიშო პერიოდებშიც, თუ ფიზიკურ პირს არ უუქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი.[58]

მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ეროვნული სამეწარმეო კანონმდებლობის ცვლილებებზე. მან ახალი საკითხები დააყენა დღის წესრიგში, რომელიც აქამდე არ იყო განხილული ეროვნულ დონეზე. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების გათვალისწინებით (მუხლი 313, 314, 315). მცირე ბიზნესის აქტის მთავარი პრინციპი "უპირველესად იფიქრე მცირეზე" ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეებთან კონსულტაციებისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების მნიშვნელობას. აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემის არსებობას მცირე და საშუალო მეწარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილების/შემცირებისთვის.[59]

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, რომელიც ამ ქვეყნების მიერ ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასებას გულისხმობს. ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით.

OECD ანგარიშში დადებითად ფასდება საქართველოში მეწარმეობის განვითარების და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნა, თუმცა ნათქვამია ასევე, რომ საჭიროა მათი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა

[58] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N999 ბრძანება, მუხლი მე-12

[59] მ.ქუჩულორია. ''ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით'' გვ.2 2018.

მათი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაიზარდოს. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 26 თებერვალს დადგენილების მიღება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. ამ სტრატეგიის საფუძველზე ასევე დამტკიცდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

იმისათვის რომ კარგად გავიაზროთ, საქართველოს ეკონომიკაზე როგორ ზეგავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესი, საჭიროა გარკვეული სტატისტიკური მაგალითების მოხმობა

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომისა და პერიოდის მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომისა და პერიოდის მიხედვით

	სულ (კაცი)	მსხვილი	საშუალო	მცირე
2005	388 946	135 465	94 388	159 093
2006	360 987	114 471	99 592	146 924
2007	361 209	116 256	109 151	135 801
2008	349 250	123 186	104 716	121 348
2009	387 463	129 686	106 346	151 430
2010	397 806	131 867	104 274	161 665
2011	503 236	153 243	118 688	231 305
2012	534 397	169 444	118 022	246 931
2013	550 885	178 422	125 925	246 538
2014	592 147	186 510	126 432	279 205
2015	626 739	198 586	137 171	290 982
2016	666 790	217 800	142 447	306 543
2017	708 165	233 589	145 463	329 112
2018-I	637 047	237 280	141 370	258 397
2018-II	656 526	241 424	144 684	270 418
2018-III	665 466	244 420	143 890	277 157
2018-IV	684 517	247 866	147 835	288 816
2019-I	663 804	245 119	136 435	282 250

[60]

ცხრილი 2.

2005 წლიდან დღემდე თითქმის ყოველ წელს დასაქმებულთა 50 პროცენტზე მეტი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის და ეს დინამიკა კიდევ უფრო იზრდება. ამ ტენდენციაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ რომ, მოსახლეუბის დასაქმების დონეზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი.

[60] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომისა და პერიოდის მიხედვით

	სულ (მლნ. ლარი)	მსხვილი	საშუალო	მცირე
2005	5 838,3	2 942,9	1 446,1	1 449,3
2006	7 412,6	3 734,9	1 911,2	1 766,4
2007	9 645,4	4 707,7	2 930,3	2 007,4
2008	10 248,4	5 442,8	2 806,9	1 998,7
2009	11 003,1	5 253,5	3 097,5	2 652,1
2010	13 303,7	6 734,5	3 364,2	3 205,0
2011	19 239,9	8 931,8	4 754,5	5 553,6
2012	23 096,0	10 564,9	6 098,6	6 432,5
2013	23 553,6	10 367,5	5 998,7	7 187,5
2014	26 068,6	11 188,2	6 571,3	8 309,1
2015	29 993,9	12 520,0	7 873,5	9 600,4
2016	34 156,9	14 201,5	8 573,9	11 381,4
2017	38 206,8	15 594,7	9 719,2	12 892,9
2018-I	8 692,2	3 775,6	2 167,5	2 749,0
2018-II	10 032,2	4 132,0	2 525,6	3 374,6
2018-III	10 652,2	4 182,0	2 758,0	3 712,2
2018-IV	11 548,5	4 657,5	2 976,5	3 914,5
2019-I	9 471,4	3 915,8	2 347,9	3 207,6

[61]

ცხრილი 3.

გამოშვებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით , მცირე და საშუალო ბიზნეს მთლიანი ღირებულების 50% ზე მეტი აქვს 2005 წლიდან დღემდე სტაბილურად ყოველ წელს. ამ ორმა მაგალითმა ნათლად დაგვანახა თუ რა სარგებელი აქვს ეკონომიკას მცირე და საშუალო ბიზნესიდან დღეს და როგორია მისი პროდუქტიულობა წლების მიხედვით.

ინსტიტუციური ჩარჩო: ერთ-ერთი მთავარი გარღვევა 2014 წლის თებერვალში საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შექმნა იყო. სააგენტო, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მეწარმეობის პოლიტიკის განხორციელებასა და მსს-ს განვითარების ხელშეწყობაზე, ასევე, ექსპორტის წახალისებაზეა პასუხისმგებელი. მეწარმეობის განვითარების სააგენტო ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით უწყობს ხელს მსს-ს განვითარებას, მათ შორის, ბიზნესუნარების ჩამოყალიბებას, სამეწარმეო განათლებას, ექსპორტის წახალისებას და ფინანსების ხელმისაწვდომობას. სააგენტოს

[61] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, დაეხმაროს ბიზნესებს, დააკმაყოფილონ DCFTA-ის მოთხოვნები.

3.3 . მცირე და საშუალო ბიზნეს განვითარების დინამიკა საქართველოში

ბიზნეს გარემოს რეფორმირების კუთხით საქართველო რეგიონის ერთ-ერთ საუკეთესო რეფორმატორად რჩება. 2019 წლის კვლევის მიხედვით, საქართველომ რეიტინგში მე-6 ადგილი დაიკავა და მსოფლიო ბანკის რეგიონალური კლასიფიკაციის ლიდერთა რიგებში მოექცა. ამ დროისთვის მსოფლიო ბანკი 190 ქვეყანაში ბიზნესის კეთების სიმარტივეს 10 განსხვავებული კრიტერიუმით ადგენს, აღსანიშნავია, რომ რეგიონი, რომელშიც საქართველო ერთიანდება ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (და არა ევროპის ყველა ქვეყანას) მოიცავს. გასულ წელს საქართველო რეიტინგში მე-9 ადგილს იკავებდა.

2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველომ, რადიკალური რეფორმები გაატარა ხელისუფლების ჩარევისა და ბიუროკრატიის შემცირების და ბიზნესის რეგულირების გამარტივების მიზნით. 2004-დან 2012 წლამდე ლიცენზიებისა და ნებართვების თითქმის 84% გაუქმდა. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაშიც; აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის საქართველოს კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. ამ რეფორმების წარმატებას კიდევ ერთი დასტურია ბიზნესგარემოს და საწარმოთა ეფექტიანობის კვლევა , რომლის თანახმადაც ქრთამის მოთხოვნის შემთხვევები ფირმების მხოლოდ 2.2%-მა. მცირე ბიზნესი დაბალი განაკვეთებით იბეგრება (დასაბეგრი შემოსავლის 3% ან 5%), ხოლო მიკრობიზნესი საშემოსავლო გადასახადისგან საერთოდ გათავისუფლდა. უფრო ზოგადად, 2014 წლის ივნისში მიღებული სტრატეგია „საქართველო 2020“ (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია) ხაზს უსვამს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საჭიროებას და პრიორიტეტულ მიმართულებებად კერძო სექტორის გაძლიერებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდას განსაზღვრავს.

ბოლო წლების განმავლობაში, გატარებული რეფორმების შედეგად საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020.

საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე დადებითად მოქმედებს ისიც რომ , საქართველოში ფუქნციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა: პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა.
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია: ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის.
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია: წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა

მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ასოციაციას დღეისთვის 106 წევრი ჰყავს. ბიზნესასოციაციებს ესაჭიროებათ შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის პოლიტიკასთან და DCFTA-ის მოთხოვნებთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობას ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციების მიერ მეწარმეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რათა მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ასევე დადებითად მოქმედებს საქართველოს ბიზნეს გარემოზე ის ფაქტი რომ , საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები. მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა. 2015 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მილიონი ევრო). პროექტის მიზანია: ა) DCFTA-ს პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერება და მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა; ბ) ვაჭრობასთან და კერძო სექტორთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება და გ) ეკონომიკური აგენტების და მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება DCFTA-ის პროცესების პარალელურად. „მწვანე ეკონომიკის

ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“: ევროკავშირის მიმდინარე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში. ამ პროგრამის ფარგლებში OECD-იმ დაიწყო პროექტი „გარემოსთვის მისაღები ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებში“, რომლის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და ასევე ბიზნესებს შორის დიალოგის ხელშეწყობა „მდგრადი“ წარმოების განვითარების მიზნით. [62]

საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესსექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს ცნობადობის ასამაღლებლად იმართება რეგულარული შეხვედრები და კონფერენციები, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შემუშავებული და დამტკიცებულია ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს სამოქმედო გეგმები, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებას, საინფორმაციო კამპანიებს და სხვა.

საქართველომ გარკვეულწილად გააუმჯობესა მცირე ბიზნესის წვდომა ფინანსებზე, კერძოდ, კიდევ უფრო გააძლიერა საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო. მცირე ბიზნესის წლიური დაკრედიტების მაჩვენებელი ბოლო წლებში გაიზარდა, მაგრამ მისი წილი მთლიან დაკრედიტებაში მაინც მცირეა და ფინანსების ხელმისაწვდომობა კვლავ ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია მსს-ს განვითარებისთვის. მსს-ს დაფინანსების ალტერნატიური წყაროები ძირითადად მიკროსაფინანსო ინსტიტუტების კრედიტებით შემოიფარგლება, რომელთა შემდგომი განვითარებაც სასარგებლო იქნება. მსს-ს წარმომადგენლების ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე კიდევ უფრო აფეხებს მათ უნარს, დაფინანსება მოიპოვონ. ბოლო წლებში, საპროცენტო განაკვეთების შემცირების კვალდაკვალ, მსს-ს დაკრედიტება გაიზარდა. მიუხედვად ამისა, მსს-ს დაკრედიტების წილი კერძო სექტორის მთლიან დაკრედიტებაში მაინც მცირეა, დაახლოებით 16%. საგირავნო უზრუნველყოფის მოთხოვნები ისევ მაღალია, რასაც ემატება გირაოდ მოძრავი ქონების მიღების შედარებით დაბალი მაჩვენებელი. მაღალი

[62] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

რჩება სესხის დოლარიზაციაც მიუხედავად გარკვეული კლებისა, რაც ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტების წასახალისებლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ზომების შედეგად მოხდა. ეს სერიოზულ სავალუტო რისკებს აჩენს, განსაკუთრებით არაექსპორტიორი მსს-სთვის, რომელიც გაცვლის კურსის მერყეობისგან ბუნებრივად დაცული არ არის. საბანკო სექტორი ძალზე კონცენტრირებულია, რომლის აქტივების 80%-ს წამყვანი 5 ბანკი აკონტროლებს. ამ სექტორში მეტი კონკურენცია ფინანსებზე მსსს ხელმისაწვდომობას გაზრდიდა.

იმისათვის რომ, კიდევ უფრო კარგად გავაანალიზოთ საქართველოში ეკონომიკა როგორი განვითარების ტენდეციით მიმდინარეობის, საჭიროა მსოფლიოს წამყვანი სხვადასხვა მნიშვნელოვანი რეიტინგების მოხმობა:

“ჰერიტიჯის” რეიტინგი ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას კანონის უზენაესობის, მთავრობის ზომის, რეგულაციების ეფექტიანობისა და ღია ბაზრების მიხედვით აფასებს. აღნიშნულ რეიტინგში 2017 წელს საქართველო მე-13 ადგილზე იყო, 2018 წელს კი მე-16 ადგილზე (180 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ჰონკონგი იკავებს. “ფრაიზერის” რეიტინგი კი ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას მთავრობის ზომის, რეგულაციების, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის, ფასების სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და საკუთრების დაცვის მიხედვით აფასებს. აღნიშნულ რეიტინგში 2017 წელს საქართველო მე-8 ადგილზე იყო, 2018 წელს კი მე-7 ადგილზე (162 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ჰონკონგი იკავებს.

ბიზნესის კეთების სიადვილის (DOING BUSINESS) რეიტინგს მსოფლიო ბანკი აქვეყნებს. რეიტინგში ქვეყნები ათი კრიტერიუმით არიან შეფასებული, მაგალითად: ბიზნესის დაწყების სიმარტივის, გადასახადების დონის, სესხის ხელმისაწვდომობის, ქონების რეგისტრაციისა და ა.შ. მიხედვით. აღნიშნულ რეიტინგში 2017 წელს საქართველო მე-9 ადგილზე იყო, 2018 წელს კი მე-6 ადგილზე (190 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ჰონკონგი იკავებს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგს მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს. რეიტინგში ქვეყნები 114 კრიტერიუმის მიხედვით არიან შეფასებული, რომელთა უმეტესობის შესადგენად მეწარმეების პირდაპირი გამოკითხვა ჩატარდა.

აღნიშნულ რეიტინგში 2017 წელს საქართველო 67-ე ადგილზე იყო, 2018 წელს კი 66-ე ადგილზე (140 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს აშშ იკავებს.

საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგს ამერიკული ორგანიზაცია "საკუთრების უფლების ალიანსი" აქვეყნებს. საკუთრების დაცვის დონე კანონის უზენაესობის, ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაჩვენებლებით არის შეფასებული. აღნიშნულ რეიტინგში 2017 წელს საქართველო 88-ე ადგილზე იყო, 2018 წელს კი 74-ე ადგილზე (125 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ფინეთი იკავებს.

ქვეყნების გლობალიზაციის რეიტინგს შვეიცარიული ორგანიზაცია "ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი" აქვეყნებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალის მოძრაობისა და მიგრაციის მიხედვით არის განსაზღვრული. მეტი გლობალიზაცია მეტი განვითარების პოტენციალს ნიშნავს. 2017 წელს საქართველო მე-19 ადგილზე იყო, 2018 წელს კი მე-18 ადგილზე (178 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს სინგაპური იკავებს.

კორუფციის აღქმის ინდექსს გერმანიაში დაფუძნებული ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა" აქვეყნებს. რეიტინგის შედეგები ათზე მეტ სხვადასხვა კვლევას ემყარება. აღნიშნულ ინდექსში 2017 წელს საქართველო 44-ე ადგილზე იყო, 2018 წელს კი 46-ე ადგილზე (180 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ახალი ზელანდია იკავებს.

დემოკრატიის რეიტინგს გავლენიანი ბრიტანული გამოცემა THE ECONOMIST-ი აქვეყნებს. დემოკრატიის დონე საარჩევნო პროცესის, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკაში მონაწილეობისა და პოლიტიკური კულტურის მიხედვით არის განსაზღვრული. რეიტინგში 2017 წელს საქართველო 78-ე ადგილზე იყო, 2018 წელს კი 79-ე ადგილზე (167 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. 5.93 ქულით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. რეიტინგში პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს.

ორგანიზაცია "რეპორტიორები საზღვრების გარეშე" პრესის თავისუფლების ინდექსს ექსპერტების გამოკითხვის საფუძველზე ადგენს. რეიტინგში 2017 წელს საქართველო 64-ე ადგილზე იყო, 2018 წელს კი 61-ე ადგილზე (180 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა.

საქართველოს ქულა 0.4-ით გაუმჯობესდა. რეიტინგში პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს.[63]

ორგანიზაცია FREEDOM HOUSE-ი პრესის თავისუფლების ინდექსს ექსპერტებისა და მკვლევრების გამოკითხვის საფუძველზე ადგენს. აღნიშნულ ინდექსში 2017 წელს საქართველო მე-100 ადგილზე იყო, 2018 წელს კი 102-ე ადგილზე (199 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. რეიტინგში პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს.

[63] ბ.ნამჩავაძე. ‘’ საქართველო 2018 წლის რეიტინგებში’’ გვ.1 2019

თავი 4 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია

4.1 ინტერნაციონალიზაციის პროცესი და მისი თეორიული ანალიზი

ინტერნაციონალიზაცია არის ეკონომიკური და ქცევითი კომპონენტების ერთობლიობა და გულისხმობს საერთაშორისო საქმიანობაში ჩართვას, ადაპტაციას და გაფართოებას. შეზღუდული ფინანსური რესურსების ქვეყანაში საწარმოები მცირე გეოგრაფიულ არაელში საქმიანობენ და მათი ინტერნაციონალიზაცია არის მნიშვნელოვანი პირობა საქმიანობის გაფართოებისათვის, რომელიც განხორციელდება როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის, ტექნოლოგიების და ინფორმაციული შესაძლებლობების გაზრდით, ასევე საექსპორტო/საიმპორტო საქმიანობით, ალიანსებში გაწევრიანებათ და სხვა საწარმოებთან შერწყმით ან გაერთიანების გზით.

ინტერნაციონალიზაციის განხორციელებას რამდენიმე ფორმა აქვს:

- პირდაპირი ექსპორტ/იმპორტი;
- ექსპორტ/იმპორტი საექსპორტო აგენტების მეშვეობით;
- საზღვარგარეთ ცოდნის გაყიდვები (ლიცენზირება, ფრანჩაიზინგი და სხვ);
- პირდაპირი უცხოურ ინვესტიციები.

ექსპორტ/იმპორტის პროცესი შედარებით ადვილია, მოქნილია და დაბალ რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მისი გამოწვევაა არასატარიფო ბარიერები, კავშირი უცხოელ აგენტებთან, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციას, ქმნის ფინანსურ უპირატესობებს, ანვითარებს ახალ ცოდნას და უნარებს და ამცირებს ტრანსაქციულ რისკებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უცხოეთის ქვეყნებში ინვესტირების რისკები დიდია, ამიტომ იგი ნაკლებად მოქნილია. ამ ფორმების განხორციელებით მსს ინტერნაციონალიზაციას შედეგად მოყვება საწარმოს,მენეჯმენტის ცვლილებები, დანახარჯების ეკონომია და შრომის მწარმოებლურობის ზრდა და ისეთი სტრატეგიული ფაქტორების ეფექტიანად ამოქმედება, როგორიცაა ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, ადგილობრივი ბაზრის გაფართოება და სხვ., იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს

ინოვაციების დაერგვას, ზრდის ბაზრების მიმზდველობას, მაგალითად, კონკურენციის შედეგად ახალი ფასების ფორმირებით, საქონლის დიფერენციაციით და სხვ.

ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციას: სავაჭრო გარემო და მცირე და საშუალო ბიზნესის მახასიათებლები. სავაჭრო გარემო გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის საერთაშორისო ურთიერთობებზე რამდენიმე თვალსაზრისით: მაკროგარემოთი, ვალუტის გაცვლითი კურსით, ეკონომიკურ კონტექსტით (როგორიცაა განვითარების სტადიები - აღმავლობა, რეცეზია, კრისიზი, გამოცოცხლება) და სხვ. ისინი ბაზრის მგრძნობიარე ფაქტორებია და განსაზღვრავენ კონკურენციის უნარს. მათ შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი საგარეო ბაზრებზე. მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო მეწარმეობის განხორციელება პრობლემაა როგორც რეგიონული, ისე გლობალური მასშტაბით. ამ პრობლემის კვლევას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) კვლევები.[64]

კვლევები აჩვენებენ, ექსპორტისკენ მისწრაფება ზრდადი ტენდენციაა იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი გარემო, სტიმული და საექსპორტოინფრასტრუქტურა ნაკლებად მიმზიდველია. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს სჭირდებათ ინტერნაციონალიზაცია და ამის მოტივაციაც უფრო მაღალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია ბაზარიდა ინფრასტრუქტურა. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი სულ უფრო ზრდის თავის წილს ექსპორტში, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა საერთაშორისო სამეწარმეო ორიენტაცია აქვთ მათ, რა სპეციფიკურ სტრატეგიას ანხორციელებენ და რა ბარიერებს აწყდებიან ისინი, კვლევის საგანია. არსებობს პირდაპირი კავშირი ტექნოლოგიების განვითარებასა და საერთაშორისო გაფართოებას შორის, მაგრამ ეს პროცესი მოითხოვს თანმიმდევრული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. საქართველოს საწარმოებში საერთაშორისო განვითარების სტრატეგია მხოლოდ მსხვლ ფირმებს გააჩნიათ. ამის შედეგია ისიც, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წვლილი ექსპორტში დაბალია. მცირე და საშუალო ბიზნესის

[64] ბ.კობერიძე. ''მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები''. 2015.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები ორიენტირებულია ძირითადად იმპორტზე. ეს შეიძლებ აიხსნას იმითაც, რომ როგორც მრავალრიცხოვანი კვლევები აჩვენებს, მსხვილი კორპორაციებთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე უფრო მეტი ბარიერია, რომლებიც ხელს უშლის ან ანელებს მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესს (Top Barriers and Drivers to SME Internationalization 2009). ინტერნაციონალიზაციის თეორიები შეიძლება შემდეგი კლასიფიკაციით განისაზღვროს:

1. კლასიკური თეორიები, რომლებიც ეროვნულ დონეზე განსაზღვრავენ ინტერნაციონალურ ურთიერთობებს (ა. სმიტი დ, რიკარდო, ჰეკშერ-ოლინი) აბსოლუტური და შედარებით უპირატესობის თეორიები).

2. თეორიები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს როგორც ანალიზის ობიექტს. (პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, მონოპოლიური უპირატესობა თეორია, ინტერნალიზაციის თეორია, ოლიგოპოლიური თეორია, სტადიების თეორია, ქსელის თეორია, რესურსებზე დაფუძნებული თეორია, ინოვაციებთან დაკავშირებული მოდელები)

3. თეორიები, რომლებიც ძირითადად ფოკუსირდება ინტერნაციონალიზაციაზე (ქცევის თეორია, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, მონოპოლიური უპირატესობა თეორია, ინტერნალიზაციის თეორია, ოლიგოპოლიური რეაქცია თეორია, სტადიებისთეორია

4. თეორიები, რომელიც ძირითადად ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისა და ქცევებს (რესურსზე დაფუძნებული ხედვა, საერთაშორისო მეწარმეობა, სტადიების თეორია, გრადუალური მიდგომა, ქსელის თეორია).

4.2 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

აღნიშნული კვლევის მიზანია გადმოსცეს დღესდღეობით საქართველოში ბიზნეს გარემოს კუთხით არსებული პრობლემები და გაანალიზოს მათი ზეგავლენა მცირე და

საშუალო ბიზნესზე. ასევე, ამ კვლევის მეშვეობით შევეცდები გამოვყო ის ძირითადი პრობლემები რომლის წინაშე დგებიან მცირე და საშუალო ექსპორტიორი კომპანიები ინტერნაციონალიზაციის პროცესის დროს.

კვლევა ჩატარდა 1-30 მარტს და გამოკითხული იქნა 30 მცირე და საშუალო ზომის მეწარმე. კითხვარი შედგება 20 კითხვისაგან და იგი საკითხის შესაბამისად შეგვიძლია დავყოთ 2 ნაწილად:

I. ბარიერები რომლებიც ექმნებათ მცირე და საშუალო მეწარმეებს შიდა ბაზარზე
II. ბარიერები რომლებიც ექმნებათ მცირე და საშუალო მეწარმეებს გლობალურ ბაზარზე

გამოკითხვაში მიღებული რესპოდენტების სქესი შემდეგნაირად გადანაწილდა მამრობითი: 56.7 პროცენტი, მდედრობითი 43.3%, არსებული შედეგით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ მანდილოსნები საკმაოდ აქტიურობენ მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობაში, რაც რათქმაუნდა მისასალმებელია.

რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი სქესის მიხედვით



დიაგრამა 6.

კითხვაზე ძირითადად რომელ სფეროში ხვდებით პრობლემებს ბიზნეს საქმიანობისას? გამოკითხულთა 68%-მა ფინანსური სახსრები, 40%-მა კანონმდებლობა ხოლო 36%მა ინფორმირებულობა დაასახელა, დღესდღეობით მართლაც, კიდევ ბევრია გასაკეთებელი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ფინანსური სახსრების, წვდომის გაუმჯობესებისათვის, ასევე მიუხედავად ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა სამწუხაროდ ინფორმირებულობის პრობლემა საქართველოში ბიზნესის მხრივ კვლავაც აქტიურ პრობლემად რჩება.

ბიზნეს საქმიანობაში პრობელემები სექტორების მიხედვით



დიაგრამა 7.

ამ კვლევაში გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები რაც ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობასთანაა დაკავშირებული, გამოკითხულთა უმრავლესობამ (80%), მთავარ ბარიერად სესხის მაღალი პროცენტი დაასახელა, ხოლო 36%-მა დაკრედიტების მაღალი მოთხოვნები.

ბარიერები ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომოსთან



დიაგრამა 8.

კითხვაზე რა პრობლემებს გამოყოფდით ინფორმირებულობის კუთხით? გამოკითხულთა 68%მა ტექნოლოგიებზე ინფორმაციის ნაკლებობა და ინფორმაციის ნაკლებობა შესაძლო პარტნიორებზე დაასახელეს. მართლაც, ინფორმირებულობის კუთხით მართლაც ბევრი პრობლემა გვხვდება, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ის რომ მცირე და საშუალო მეწარმეებს არა აქვთ ინფორმაცია ტექნოლოგიების იმ მიღწევებზე, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ თავიანთ სამუშაო სფეროში.

პრობლემები ინფორმაციულობის კუთხით



დიაგრამა 9.

კითხვაზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში მასმედიის როლის მნიშვნელობის შესახებ. 70.8% პროცენტი თვლის მასმედიის როლს ძალიან მნიშვნელოვნად. ხოლო 29.2% ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მასმედია ნებისმიერი განვითარებული ქვეყნისათვის ისევე როგორც ჩვენთვის მნიშვნელოვანი სექტორია, რადგან მოსახლეობის დიდი პროცენტი სწორედ მასმედიის საშუალებით იღებს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში მასმედიის როლი



დიაგრამა 10.

რესპოდენტები ბიზნეს გარემოს შემდეგნაირად აფასებენ: 44% თვლის რომ არსებული ბიზნეს გარემო უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს განვითარებაზე, 40% თვლის ბიზნეს გარემოს ნორმალურად. ამ კვლევაში გამოკითხულთა ხმები ძირითადად ორ ნაწილად გაიყო.

ბიზნეს გარემოს შეფასება



დიაგრამა 11

საკანომდებლო გარემოს შეფასებისას რესპოდენტების 44% თვლის რომ კანონები საჭიროებს დახვეწას, ხოლო 24%ის აზრით იგი სწრაფად იცვლება. კვლევის თანახმად,მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ახლანდელი კანონმდებლობა საჭიროებს კიდევ უფრო, გამარტივებას და გამართვას

საკანომდებლო გარემოს შეფასება



დიაგრამა 12.

ვინაიდან და რადგანაცყველა პერსპექტიული კომპანია მიილტვის საკუთარი პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანისათვის და ასევე ბევრი მეწარმე მიმართავს იმპორტს, აუცილებლად ჩავთვალე კითხვარში საბაჟო ინფორმირებულობის კითხვის შეტანა, რადგან ვთვლი რომ კარგად მიწოდებული ინფორმაცია მეწარმისთვის გარკვეული სტიმულია. კითხვაზე რამდენად ინფორმირებული ხართ საბაჟო

კანონებზე, რესპოდენტთა უმეტესობამ 58.3% მა პასუხი დადებითად შეაფასა. რაც ნამდვილად კარგია

საბაჟო ინფორმირებულობა



დიაგრამა 13.

უცხო ბაზარზე შეხწევის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად რესპოდენტებმა დაასახელეს: ნოუჰაუ ტექნოლოგიებისადმი წვდომა 44.4% და უცხოელი ინვესტორების არსებობა 63%.

უცხო ბაზარზე შეხწევის მნიშვნელოვანი ფაქტორები



დიაგრამა 14.

ამ კვლევით შევეცადე ამეხსნა ის მთავარი მიზეზები რაც უბიძგებს კომპანიას ინტერნაციონალიზაციისაკენ საწარმოს ინტერნაციონალიზაციის მთავარ მიზეზად, დამატებით შემოსავალს 63% თვლის, 40%პ-ის აზრით მიზეზი უკეთესი საკანონმდებლო პირობებია.

საწარმოს ინტერნაციონალიზაციის მიზეზები



დიაგრამა 15.

ამ შემთხვევაში, მინდა გამოვყო მთავარი ბარიერები რომლებიც ხვდებათ ჩვენს ინტერნაციონალურ კომპანიებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უცხო ბაზარზე მთავარ ბარიერებად გამოკითხულთა 40.7 % თვლის მომხმარებლის გემოვნების სხვაობას, ძლიერ კონკურენციას და სატრანსპორტო მომსახურეობის სირთულეს მიიჩნევს.

ბარიერები უცხო ბაზარზე



დიაგრამა 16.

კითხვაზე გყავთ თუ არა ბიზნეს პარტნიორი უცხო ქვეყანაში რესპოდენტთა 55.6% უარყოფითად უპასუხა. ხოლო უცხო ქვეყნის პარტნირებთან ურთიერთობაში, 44.4% პროცენტი ბიზნეს ასსოციაციებს და პირად ურთიერთობებს ასახელებენ. აღსანისნავია, რომ ხელისუფლებას მხოლოდ 11.1 % მიიჩნევს

უცხო ქვეყნის პარტნიორებთან ურთიერთობის წყაროები



დიაგრამა 17

საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას წარმატებულად თვლის 70.4% ხოლო ნაწილობრივ წარმატებულად 25.9% ხოლო არა წარმატებულად მხოლოდ 3.7 %. არსებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ, საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისაკენ დადებითად მიჩნევს რესპოდენტთა უმეტესობა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შეფასება



დიაგრამა 18.

კომპანიისათვის ევროკავშირის შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატის მიღებას კომპანიისათვის მნიშვნელოვნად თვლის 92.6 % ხოლო ნაკლებ მნიშვნელოვნად 7.4%.

ევროკავშირის სერთიფიკატების მნიშვნელობა კომპანიებისათვის



დიაგრამა 19

არსებული კვლევიდან, რამოდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი, პირველ რიგში აღსანიშნავია , რომ განსახვავებით წარსულისა სადაც, ბიზნეს საქმიანობით ძირითადად მამაკაცები იყვნენ დაკავებულნი დღეს დღეობით მანდილოსნის წილიც საკმაოდ დიდია, რაც რა თქმა უნდა მისასალმებელია. მიუხედავად, ბოლო 20 წლის მანძილზე შესამჩნევი პროგრესისა, მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით კვლავაც რჩება პრობლემები საქართველოში, ეს პრობლემები აქტიურია და მწვავეა ისეთ სფეროებშიც როგორიცაა, შრომის ბაზარი, კანონმდებლობა, ფინანსური სახსრები და სხვა, რაც რა თქმა უნდა პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მცირე დასაშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

დასკვნა

ვინაიდან და რადგანაც მცირე და საშუალო ბიზნესს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, აუცილებელია ქვეყანაში მისთვის ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნა, კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ რომ, მცირე და საშუალო ბიზნესის სრული პოტენციალის გამოსაყენებლად აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა, მეწარმეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება. ადგილობრივი ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციები თანხმდებიან იმაში, რომ დღეს დღეობთ, ბიზნესის კეთება საქართველოში გამარტივებულია. ბიზნესგარემოს შეფასებისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას თუ რამდენად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის ადგილობრივი ბაზარი. რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური. გარემო პირობების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ ქვეყნის მიმზიდველობაზე ინვესტორების თვალში. პროგრამა "აწარმოე საქართველოში" მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა ჩემი აზრით კანდიდატის შერჩევა ზომის მიხედვით არ მიმაჩნია ბოლომდე მართებულად, ვფიქრობ, უმჯობესია შეირჩეს იმის მიხედვით თუ რა რაოდენობის სამუშაო ადგილს შექმნის და ა.შ ჩემი აზრით აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა. მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების ისეთმა სექტორებმაც როგორებიცაა: მას-მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, კიდევ არის საჭირო სხვადასხვა სფეროების დახვეწა. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზურნველყოფა. ქვეყანაში საკმაოდ დაბალია მეწამეობრივი კულტურა, შრომის ბაზარზე დიდია უმუშევრობის დონე და დეფიციტია კვალიფიცირებული კადრების. გამოცდილების, ტექნოლოგიების და სახსრების ნაკლებობის გამო მცირე და საშუალო ბიზნესების უმეტესობა ვერ ახერხებს განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი მიზნების მისაღწევად აუცილებელია არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება და

უწყებათაშორისი ურთიერთობის გაუმჯობესება . ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების გაზრდა, სუბსიდირებით, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებითა და კარგი პირობების შექმნით, რათა მათ წვდომა ჰქონდეთ ყოველივე იმასთან რასაც ევროკავშირი სთავაზოვბს მაგალითად, გაზარდონ გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობა და ფირმის პროდუქტიულობა . ასევე აუცილებელია მცირე და საშუალო კომპანიებს წვდომა ჰქონდეთ ფინანსურ რესურსებზე, იაფ კრედიტზე და სხვადასხვა დაფინანსების წყაროებზე, რათა არსებული პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში გაუმკლავნდნენ მათ. საწარმოების განვითარების მთავარი წინააღმდეგობრივი გარემოებები დაკავშირებული ტექნოლოგიებთან, ინოვაციებთან, უმაღლესი განათლებისა, და ფინანსური ბაზრების განვითარებასთან. ეს ბარიერები გამორჩეულად, მცირე და საშუალო ბიზესის განვითარებისათვისა პრობლემატური და ძლიერ მოქმედებს ბაზრებში მათ ჩართულობის ხარისხზე. დღეს მცირე ბიზნესი უძლურია დამოუკიდებლად განახორციელოს ცვლილებები და გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა, რადგან, მას არც კვალიფიციური კადრი ჰყავს და არც საჭირო ფინანსები გააჩნია. ამდენად იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს მხარდაჭერაზე. სახელმწიფოს ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება საკმარისი პირობა არაა ბიზნესის განვითარებისათვის, ამიტომაც საჭიროა სხვა გარე პირობების დახვეწა, გაუმჯობესება. რაც შეეხება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობას, უნდა აღინიშნოს რომ ოგო საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს, რაც უფრო ვუახლოვდებით ევროკავშირს მით უფრო დადებითად მოქმედებს ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგალითად 2017 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტმა 260.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 40.7%-ითაა გაზრდილი ხოლო ამ და სხვა მნიშვნელოვანი სტატისტიკის მიხედვით შეგვიძლია, დავასკვნათ რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი სწორი ვექტორით მიმდინარეობს, მიუხედავად იმ ბარიერებისა რაც საქართველოს ბაზარზე გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ.ნამჩავაძე. '' საქართველო 2018 წლის რეიტინგებში''. თბილისი. 2019;
2. ბ.კობერიძე. ''მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები''. თბილისი. 2015;
3. გ.ელიზბარაშვილი. ''ინდუსტრიული რევოლუცია-ისტორიული შინაარსი საქართველოსთვის''. 2018;
4. გ.შუბლაძე., მ.ნანიტაშვილი, ''ბიზნესის საფუძვლები''. თბილისი. 2011.;
5. გ.ქუთათელაძე. ''იაპონური მენეჯმენტი და მისი ტრანსფერის თეორიულ-ემპირიული შესაძლებლობა საქართველოში''. თბილისი. 2010;
6. დ.ადვაძე. ''მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები''. თბილისი. 2015;
7. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი. 2008;
8. ევროკავშირსა და საქართველოშ შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები.
9. ე.გობეჯიშვილი. ''საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო სრულყოფის მიმართულებები''. თბილისი. 2013;
10. თ.შენგელია. ''ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები''. თბილისი. 2008;
11. თ.ელიაძე. ''სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო-სამართლებრივი რეგულაციები''. თბილისი. 2014;
12. ლ.ცეცხლაძე. 'მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამედროვე საბაზრო სისტემაში'. ბათუმი. 2012;
13. მ.ქუჩულორია. ''ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით''. თბილისი. 2018;
14. ო.გოგიაშვილი. ''მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში''. თბილისი. 2013;

15. საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება;
16. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. თბილისი. 2016;
17. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ '' საქართველოს მთავრობის ნ.415 დადგენილება'';
18. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N999 ბრძანება, მუხლი მე-12;
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
20. საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. თბილისი 2019;
21. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო "საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის რუკა" თბილისი. 2019;
22. ქ.ციხელაშვილი, თ.შერგელაშვილი, მ.თოქმაზიშვილი ''საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი''. თბილისი. 2012;
23. ქ. ნინიძე, სტატია: ''დუალური განათლების ისტორიული წინაპირობები ნაწილი პირველი'' თბილისი. 2017;
24. ხ.ჩიგოგიძე. ''ევროკავშირის 5 ქვეყანა, სადაც მცირე ბიზნესი სწრაფად ვითარდება''. თბილისი 2008.
25. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983. ე. ნ. თბილისი;
26. Fernardo Forte 2018წ. Number of enterpriceses in spain in 2019, by number of employees
27. Germany-European Commision-europa Eu. 2019;
28. France-European Commision-europa Eu. 2018;
29. The Medieval Cookbook. Author Maggie Black. 1992;
30. History of small business. Jonson Hur. 2018;
31. EU-Georgia relations Factsheet. Eeas Press Team. 2019;

32. Understanding growth priorities at small and medium-sized businesses. Economist intelligence Unit, 2009.
33. European commission. The Tacis Programme-Europa Eu;
34. Paul Ames German. support for small business. 2013;
35. Payments Uk launches nev voice for undusrty. 2015;
36. Modern Applied Statistics with 4th edition by W.N venables, B.D ripley;
37. Современный экономический словарь. М., «Инфра-М», 1996;
38. Мицкий А., Кредитно-финансовая поддержка функционирования и развития малого и среднего бизнеса. Ставрополь, 2007;
39. Коуз Р. Природа фирмы. - М.: Дело, 2001 ;
40. Лапуста М., Старостин Ю.Л. Малое предпринимательство : учебник. М.: ИНФРА-М, 2007;
41. Франовская Г.Н. «Малый бизнес», Уч. пособ. Издательскополиграфический центр Воронежского государственного университета, 2007;